სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 25 აპრილი 2008 №093 (3317) ფასი 50 თეთრი

შოთა არველაძეს კლაუდიო კანიჯაც გაასცილებს

8

როკის სოლისტს ევროპაში რიგი დაუდგა

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

8

ბრაზილიელთა ქართული ფიქრი: ჯერ ოქრო, მერე შვილი

ჭორჭის და რენატოს თბილისური დღე

14

ტრადიციას 10 დღე მოაკლდა თასიც ახალია და თარიღიც

გადაწყდა: საქართველოს თასის ფინალი ტრადიციული 26 მაისის ნაცვლად, 10 დღით ადრე, 16 მაისს ჩატარდება.

ამგვარი ცვლილების მიზეზი სანაკრებოა. შეგახსენებთ, რომ 27 მაისს ჩვენი ნაკრები ტალინში ესტონეთის ეროვნულ გუნდს ხვდება და პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომაზე ამ ორი მატჩის დაშორიშორება გადაწყდა.

საქართველოს თასი აქამდე 17-ჯერ გათამაშდა და 17 ფინალიდან მხოლოდ ორი იყო, დამოუკიდებლობის დღეს რომ არ ჩატარებულა...

1990 წელს თასის პირველი ფინალი 18 ნოემბერს გაიმართა და ლანჩხუთის „გურიამ“ სოხუმის „ცხუმს“ 1:0 მოუგო.

მომდევნო 14 ფინალი 26 მაისს გაიმართა, შარშანწინ კი „ამერმა“ „ზესტაფონს“ პენალტების სერიით რომ მოუგო, 13 მაისი გახლდათ.

შარშან ფინალი ისევ 26 მაისს გაიმართა და ახლა თარიღში აცდენილი მესამე ფინალი იქნება.

და ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც შეგახსენებთ: საქართველოს თასი წინა ფინალის მომგებ „ამერს“ სამუდამო მფლობელობაში რომ გადაეცა, პროფლიგამ საამსეზონოდ ახალი თასი დაამზადა.

ამის თაობაზე რამდენიმე კვირის წინაც გვეწერა, დღეს კი პროფლიგის ოფისში ახალი თასის პრეზენტაციაა.



კვარაცხელია აბსოლუტური პრეზიდენტია

გუშინ სამეგრელოს რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. კანდიდატურა კვლავ წამოაყენა წინა პრეზიდენტმა, ყოფილმა მსაჯმა სერგო კვარაცხელიამ და ასპროცენტიანი შედეგითაც მოიგო – 29 დელეგატიდან 29 ხმა მიიღო!

სეგრტი გამორიცხულია!



მაისის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩი ელის — ესტონეთსა და პორტუგალიაში.

მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშეა და ითქვა, რომ თუ ამ მატჩებამდე არ მოესწრო ახალი მწვრთნელის დანიშვნა, ამ მატჩებში გუნდს ახალგაზრდული ნაკრების ხორვატი თავკაცი პეტარ სეგრტი გაუძღვებაო.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას შევეხმიანეთ...

„ეგ გამორიცხულია, ამ მატჩებამდე საქათრველოს ნაკრებს აუცილებლად ეყოლება ახალი მწვრთნელი!“ — გვითხრა უგულავამ.

ჯურის მთავარი ცხრილის ბოლოშია

პირველ წრეში ზუგდიდის „მგლების“ და „ამერის“ თამაში თბილისელებმა გიორგი დავითნიძის გოლით მოიგეს

ბადრი ქუთელაძის ფოტო

დღეს-ხვალ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებია

არჩილ არველაძე, პაატა ბურჯალიანი და რევაზ არველაძე

ფონდი და ვარსკვლავები

არველაძეები სტუმრებს ჩვენებას აჩვენებენ

შოთა არველაძე რომ ფეხბურთელის კარიერას ამთავრებს და ამასთან დაკავშირებით ვარსკლავურ გამოსამშვიდობებელ მატჩს აწყობს, ერთხელაც შეგახსენებთ. გარდა ამისა კი, ძმები არველაძეები ამ დღეებში კიდევ ერთი კარგი საქმით არიან დაკავებულნი — რეზომ, არჩილმა და შოთამ ქართული ფეხბურთის განვითარებისა და ხელშეწყობის ფონდი შექმნეს, რის პრეზენტაციასაც უახლოეს მომავალში სასტუმრო „მეტეხში“ მოაწყობენ...

რა და როგორ იქნება შოთას გამოსამშვიდობებელი მატჩისას? რა მიზანს მოემსახურება არველაძეთა ფონდი? ამ და სხვა კითხვებზე რეზომ და არჩილმა, ასევე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გვიპასუხეს...

პაატა ბურჯალიანი: 3 ივნისს ეროვნულ სტადიონზე მართლაც რომ გრანდიოზული ღონისძიება მოეწყობა. შოთა არველაძეს დამსახურებისამებრ გავაცილებთ ფეხბურთიდან. ამ მატჩამდე კი 12 მაისს არველაძეთა ახალშექმნილი ფონდის პრეზენტაცია იქნება და იქვე ამ ფონდის ვებ-გვერდის მისამართსაც გამოვაცხადებთ. საიტის საშუალებით ყველა დაინტერესებული საჭირო და ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს ფონდის საქმიანობის შესახებ.

რევაზ არველაძე: ჩვენი ფონდის სტრუქტურაზე, სტრატეგიასა და სამომავლო გეგმებზე 12 მაისის პრეზენტაციაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, დღეს კი გეტყვით, რომ არველაძეთა ფონდი იქნება საქველმოქმედო და ქართული ფეხბურთის მაქსიმალურად ხელშემწყობი. ჩვენი საქმიანობა სწორედაც ქველმოქმედებაა და ქართული ფეხბურთის მაქსიმალური მხარდაჭერა, ორიენტირებული ვიქნებით ჭაბუკთა და ბავშვთა ფეხბურთზე.

საქველმოქმედო ფონდის შექმნის იდეაც ჩვენი საქმიდან გამომდინარე დაიბადა. ადრე რაც კი ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის გაგვიკეთებია, ცოტა არ იყოს, არაორგანიზებული და სპონტანური ხასიათისა იყო, თუმცა ისეთი შედეგები მივიღეთ, გადავწყვიტეთ, ეს ყველაფერი სოლიდური სახით წარმოგვედგინა.

ფონდის ხელმძღვანელები ჩვენ, ძმები არველაძეები ვიქნებით. როგორც ცხოვრებაში ძმებს შორის უფროს-უმცროსები არ ირჩევა, ასევე იქნება ფონდში საქმიანობისას.

3 ივნისის გამოსამშვიდობებელ მატჩში შოთას მეგობრებისა და საქართველოს ნაკრების სხვადასხვა თაობის გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს. მატჩი ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება და, იმედი გვაქვს, მართლაც დაუვიწყარი სანახაობა გამოვა. ამ შეხვედრის ორგანიზატორთა ყველანაირი რესურსი სწორედ ამისკენ არის მიმართული.

ბევრმა სოლიდურმა კომპანიამ გამოთქვა საამმატჩოდ ჩვენთან თანამშრომლობისა და სპონსორობის სურვილი, მაგრამ მათ ვინაობის ჯერ ვერ დავასახელებ. შეუთანხმებლად თქმა უხერხულია. თუმცა ერთს დღესვე ვიტყვი, ატელიე 10a 2 ივნისს ჩვენებას მოაწყობს და ყველა იმ ვარსკვლავს მიიწვევს, რომლებიც შოთას გამოსამშვიდობებელი მატჩისთვის თბილისში იქნებიან. გვსურს, რომ სტუმრებმა თბილისში მაქსიმალურად სასიამოვნო დრო გაატარონ.

გამოსამშვიდობებელი მატჩი, ცხადია, საქველმოქმედო არის და შემოსული თანხაც არველაძეთა საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ქართველები იქნებიან, ისინი ეროვნულ გუნდს ადრეც თავკაცობდნენ.

არჩილ არველაძე: ჩვენ რაც გვიცხოვრია, ფეხბურთით გვიცხოვრია და სხვანაირად არც მომავალში იქნება. გვსურს, მაქსიმალურად დავეხმაროთ ჩვენს ფეხბურთს. არველაძეთა ფონდი იმუშავებს ყველა მიმართულებით, რაც კი ფეხბურთთან არის დაკავშირებული და იმედი გვაქვს, ამ ფონდის საშუალებით ქართველი ფეხბურთელები თუ მწვრთნელები უმაღლეს სიმაღლეებს მიაღწევენ. საამისოდ არველაძეთა ფონდი ძალღონეს არ დაიშურებს და ყველაფერს გააკეთებს.

შოთას გამოსამშვიდობებელ მატჩზე ჩამოსვლის სურვილი კიდევ ბევრმა ისეთმა ვარსკვლავმა გამოთქვა, მათგან თანხმობას რომ არ ველოდით. დღეს მათ გვარებს არ დავასახელებთ, მოდით, სიურპრიზი იყოს...

პრესკონფერენციაზე არ თქმულა, მაგრამ წუხელ კი გავიგეთ, რომ შოთას 3 ივნისის მატჩზე აუცილებლად ჩამოვა ერთ-ერთი დიდი არგენტინელი, შოთას მეგობარი კლაუდიო კანიჯა, ვისთან ერთადაც ჩვენიანი შოტლანდიურ „რეინჯერსში“ თამაშობდა. კანიჯამ ჩამოსვლაზე დასტური უკვე გამოგზავნა.

კოგა ინასარიძე

ლაშა ნოზაძე გოლებს შეეჩვია

ლაშა ნოზაძემ ყარაგანდის „შახტიორში“ მიჯრით მეორე მატჩში გაიტანა, თუმც რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მაინც წააგო ყაზახეთის თასის მეოთხედფინალი — ალმატიში „ქაირათთან“ 120-წუთიანი შერკინება 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი „ქაირათმა“ 5:4 იმარჯვა.

ლაშამ ანგარიში გახსნა პირველ ტაიმში — მეკარის მოგერიებულ ბურთს დაამატა.

დანია, ჩეხეთი, შვეიცარია: ქართველების პატარა ამბები

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი გიორგი ფოფხაძე „ვიბორგის“ ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა და 90 წუთი ითამაშა „ოდენსესთან“ გასვლით მატჩში. ჩვენიანის გუნდმა 0:1 წააგო, თორმეტგუნდა ჩემპიონატში მეთერთმეტეზეა და გავარდნას ვეღარ გადაურჩება.

გიორგი განუგრავამ სულ ოთხი მატჩი ჩაატარა ჩეხური „ბოლესლავის“ ძირითად შემადგენლობაში, მეტწილად, „ბოლესლავ B-ში“ უწევს თამაში და გუშინაც სრულად იბურთავა „დასტნესთან“ 5:0 მოგებულ შეხვედრაში.

შვეიცარიაში „ციურიხის“ 21-წლამდელთა გუნდმა „სენტ გალენს“ 5:1 სძლია, გიორგი ივანიშვილმა 83 წუთი ითამაშა და ამჯერად უგოლოდ დატოვა მინდორი...

ილია ნანოგაშვილი

ლევან ყიფიანის რა. საფ. როდინ

გუშინ „ჩვენი ფეხბურთის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლევან ყიფიანმა ჟურნალისტები მიგვიწვია და რამდენიმე საკითხზე ისაუბრა...

„ჩემი მეგობრების მიმართ ბრალდებები ისმის. ისეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა, რომ შავი პიარის აგორება სურთ. გაიოზ დარსაძის მწვრთნელობას რატომ დავუჭირე მხარი? თბილისის „ლოკომოტივის“ გენერალური დირექტორი გახლდით, დელეგატის მანდატი მქონდა და აღმასკომის წევრი ვიყავი. „ლოკომოტივის“ პატრონები ფედერაციის ხელმძღვანელ ნოდარ ახალკაცს უჭერდნენ მხარს და მეც ამ კლუბს წარმოვადგენდი. აღმასკომის სხდომაზე რომ მივედი, არ ვიცოდი, რომ მწვრთნელის საკითხი იხილებოდა. არადა, დღის წესრიგი დელეგატებმა წინასწარ უნდა იცოდნენ. ეს ვუთხარი კიდეც ახალკაცს. მან თქვა, რომ ფინანსები არ ჰქონდა და ცაიტნოტში იყო, დარსაძე უნდოდა ნაკრების მთავარ მწვრთნელად და მთხოვა, მხარი დამეჭირა. ისიც თქვა, რომ დარსაძეს დროებით ნიშნავდა და შემდეგ შეირჩეოდა ახალი მწვრთნელი. ვიმეორებ: მე წარმოვადგენდი „ლოკომოტივს“. თავს არ ვიმართლებ, ასე იყო, ამას ნოდარ ახალკაციც დაადასტურებს. იმასაც მაბრალებენ, როცა ფეხბურთის ფედერაციაში ბავშვთა ფეხბურთის დეპარტამენტს ვხელმძღვანელობდი, თურმე არაფერი გაკეთებულა. 1998 წლიდან, მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისას, ვმუშაობდი ფედერაციაში და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი — ჭაბუკთა ლიგა — ჩემი თაოსნობით ჩამოყალიბდა. 1999 წელს დავიწყეთ 1985 წელს დაბადებული ბავშვების შერჩევა. ამ პერიოდშივე ჩამოვაყალიბეთ სამი ასაკობრივი ნაკრები, 15, 17, 19-წლამდელთა. ამას დაადასტურებენ გერა ხეცურიანი, ნოდარ კაკულია, რეზო შენგელია, რომლებიც ახლაც ფედერაციაში მუშაობენ. 1999 წელს ფედერაციაში დავბრუნეთ გაიოზ დარსაძე და აღვადგინეთ მწვრთნელთა მომზადების კურსები. ამის გამო ვალერი ჩოლარიასთან უთანხმოება მომივიდა, მას არ უნდოდა დარსაძის ფედერაციაში დაბრუნება...

...აკა ქავთარაძესთან ერთად ფუტსალის ასოციაცია ჩამოვაყალიბე. პარალელურად, პროფესიული ფეხბურთის ლიგის შექმნაზე ვმუშაობდით მე, გერა ხეცურიანი, შოთა ბაქრაძე, ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე და ჯანდაცვის მინისტრი სანდრო კვიტაშვილი. გურგენიძე ინგლისში ცხოვრობდა და იქიდან თანამშრომლობდა ჩვენთან, გურგენიძე კვიტაშვილმა გამაცნო, ისინი გულშემატკივრები არიან, მერე „ლოკომოტივში“ მივედი და ეს საქმე დიმიტრი რამიშვილმა მიიყვანა ბოლომდე.

ნუკრი ლოლაძე

საქართველოს პირველი ლიგა 19 ჩემპიონატი 24 ტური

აღმოსავლეთი

ნ.დინ-მერანი 2 0:3 კახეთი
მეშაძრე 0:0 დინამო 2
გაგრა 5:2 ოლიმპიკი
ხვალ
ვიტ ჯორჯია 2 — ჩიხურა
ამერი 2 — ოლიმპი 2

გაგრა	24	13	6	5	51:36	45
მეშაქრე	24	12	8	4	32:19	44
დინამო 2	24	12	7	5	33:19	43
ვიტ ჯორჯია 2	23	12	5	6	34:18	41
ჩიხურა	23	11	6	6	37:29	39
ოლიმპი 2	23	8	8	7	30:26	32
კახეთი	24	9	4	11	36:36	31
ამერი 2	23	8	2	13	33:36	26
ოლიმპიკი	24	5	4	15	31:50	19
ნ.დინ-მერანი 2	24	0	6	18	17:65	6

დასავლეთი

ხობი 0:0 ზესტაფონი 2
მეშახტე 1:0 კოლხეთი
ტორპედო 0:2 სამტრედია
მაღაროელი 1:0 უნივერსიტეტი
ფაზისი 0:3 მერანი (მ)

მაღაროელი	24	19	3	2	49:17	60
მეშახტე	24	13	2	9	37:34	41
მერანი (მ)	24	12	5	7	32:20	41
ზესტაფონი 2	24	12	3	9	39:24	39
ხობი	24	9	7	8	33:25	34
ტორპედო	24	9	6	9	33:30	33
ჯოლხეთი	24	8	7	9	29:33	31
სამტრედია	24	8	4	12	32:46	28
უნივერსიტეტი	24	7	3	14	19:27	24
ფაზისი	24	2	2	20	17:64	8

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან

UEFA CUP — უეფას თასი 2007-2008 ნახევარფინალი. პირველი მატჩები

ბაიერნი (გერმანია) 1:1 ზენიტი (რუსეთი)
1:0 რიბერი (18), 1:1 ლუსიო (60ს.ჯ.)
რეინჯერსი (შოტლანდია) 0:0 ფიორენტინა (იტალია)

ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
გრეისი 3:0 რაშდენი

დანია

სუპერლიგა. XXVI ტური
კოპენჰაგენი 1:1 ორჰუსი
ნორდსიელანდი 3:2 ესბიერგი
ოლბორგი 3:0 რანდერსი

შვეიცარია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
იანგ ბოისი 0:1 ლუცერნი

შვედეთი

ალსვენსკა
VII ტური
გაის 2:0 გეფლე
მალმიო 2:1 ნორჩიოპინგი
იორებრო 0:1 ჰალმსტადი
სუნდსვალი 2:2 ტრელებორგი
აიკ 1:1 იურგორდენი

სუპერეტა
III ტური
ატვიდაბერგი 1:0 იორგრიტე

ამხანაგური მატჩი

სალვადორი 2:2 ჩინეთი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი

II წრე. 23 ტური

„მერანი“ — „ლოკომოტივი“; ბრძოლა გადასარჩენად

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბათუმი. 25 აპრილი. 16 საათი. ადელი

ბათუმი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, დ. კვეტენაძე, ზ. ხუციშვილი, პ. დოგრაშვილი

ბოლნისი. 25 აპრილი. 16 საათი. თ. სტეფანია

სიონი — ოლიმპი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ზ. ფიფია, ვ. ელისაბედაშვილი

თბილისი. 25 აპრილი. 16 საათი. ამერი

ამერი — მგლები

მსაჯები: მ. ურუშაძე, ლ. მიქელაძე, გ. ყრუაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

ბორჯომი. 26 აპრილი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

ბორჯომი — დილა

მსაჯები: კ. ჭაჭუა, ნ. რუსიშვილი, ი. მაჩიტიძე, გ. კიკაჩეიშვილი

თბილისი. 26 აპრილი. 16 საათი. მერანი

მერანი — ლოკომოტივი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, დ. სანოძე, ლ. თოდრია, ლ. სილაგავა

გორი. 26 აპრილი. 16 საათი. ძართლი

სპარტაკი — ზესტაფონი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე, ზ. ასკაროლი

გაჭირვებულთა ტური

დღეს-ხვალ თამაშნაკლული ტურია, რადგან ლიდერმა „დინამო“ გუშინწინ 5:1 მოუგო გადმოდებულ მატჩში ახალციხის „მესხეთს“ და მდევრებთან სხვაობა 7 ქულით გაზარდა. მდევრები კი „ვიტ ჯორჯია“ და „ზესტაფონი“ არიან, რომლებსაც, ერთი შეხედვით, იოლი თამაშები აქვთ, თუმც ისეთ გუნდებს ხვდებიან, ქულები ჰაერივით რომ სჭირდებათ.

„ვიტ ჯორჯია“ ზღვისპირეთს ესტუმრება და არა გვგონია, დასასვენებლად მოიცალოს — „ბათუმს“ კიდევ აქვს ელიტაში დარჩენის შანსი და სტუმრებს გულთბილ მასპინძლობას ვერ გაუწევს. თავის მხრივ, დასაკარგი ქულები არც ვეტერინარებს აქვთ, თორემ უეფას თასზე მოხვედრის გზას ინტერტოტოთი დაიგრძელებენ. ამასთან, ჩემპიონობის ნაპერწკალი და თეორიული შანსი ჯერ კიდევ შერჩათ.

მსგავს სიტუაციაშია „ზესტაფონიც“. იმერლები ცხინვალის „სპარტაკს“ ესტუმრებიან. მათი საჩემპიონო მინიმალური შანსები თავიანთ თავსა და „ლოკომოტივ“-„დილაზეა“ დამოკიდებული. თავად ხომ უნდა მოუგოს „დინამოს“ და მერე აუტსაიდერების იმედადაც უნდა იყოს.

„სპარტაკს“ კი უფრო ფრის იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან გუნდს შეტევაში აშკარად უჭირს, ძირითადად, ერთი თავდამსხმელით თამაშობს და იმერლებთან ისიც დისკვალიფიცირებულია. მათი ამოცანა უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოება იქნება.

წესით, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი „მერანი“ — „ლოკომოტივია“. აკი, სწორედ ეს მატჩი ამოარჩია ტელეკომპანია „კოლხიდამ“ პიდაპირი ტრანსლაციისთვის, თუმცა, ბოლოდროინდელ ფაქტებს თუ გავითვალისწინებთ, ვეჭვობთ, პრინციპული გამოდგეს.

„მერანს“ ბოლოსკენ საქმეები აერია და თამაშებზე ჭაბუკთა გუნდით დადის. ცქიტიშვილი-დარასელია-ალექსიძის ტრიოს კი არ უნდა გაუჭირდეს უწვერულვაშო ყმაწვილებთან განავარდება და ასეთ შემთხვევაში ფავორიტად „ლოკო“ მოჩანს. თუ მოასწრო და დაალაგა „მერანმა“ საქმეები, მაშინ, იცოცხლე, კარგი ჯახი გამოვა, მაგრამ...

მოიგებს „ლოკომოტივი“ და ელიტიდან გავარდნას თავიდან აიცილებს, „მერანი“ კი, პირიქით, რომ იტყვიან, უკვე იქაურია.

მოიგებს „მერანი“ და ბოლო ტურები კიდევ უფრო დაიძაბება. იგივე იქნება ფრის შემთხვევაში.

ალბათ, კიდევ ერთი ტურით გაიხანგრძლივებს ელიტაში ყოფნას გორის „დილა“. ალბათ, იმიტომ, რომ „ბორჯომი“ თასის ნახევარფინალისთვის ემზადებიან. „დილასთანაც“ — სარეზერვო გუნდი და მისი ჯანი.

„ამერი“ გლდანში ზუგდიდის „მგლებს“ უმასპინძლებს და, სავარაუდოდ, მეოთხე ადგილს შეინარჩუნებს. მართალია, ზუგდიდელებმა სადებიუტო სეზონში კბილები აკრაჭუნეს, მაგრამ დღევანდელ ჯახში „ამერი“ მაინც ფავორიტია.

„მგლებმა“ სეზონი მისთვის დამაკმაყოფილებლად ჩაატარა და, შესაძლოა, ისე მოხდეს, მომავალ სეზონში ზუგდიდისავე „ბაიასთან“ გაერთიანებით, კიდევ უფრო მოუმატოს და უკეთესი გუნდი იყოს.

კიდევ ერთი მატჩი ბოლნისშია, სადაც რუსთავის „ოლიმპი“ სტუმრობს.

ამ მატჩს ცხრილში რისი შეცვლა შეუძლია? „სიონს“ შანსი უჩნდება, ერთბაშად ორ გუნდს გადაასწროს, „ოლიმპი“ კი ამ შემთხვევაში მეხუთეზე დარჩება.

ვიხეილ ჟორჟოლიანი

დინამო	23	20	1	2	58:13	61
ვიტ ჯორჯია	22	17	3	2	40:10	54
ზესტაფონი	22	17	3	2	51:12	54
ამერი	22	13	2	7	41:24	41
ოლიმპი	22	12	4	6	21:15	40
მესხეთი	23	9	5	9	24:28	32
ბორჯომი	22	8	4	10	25:27	28
მგლები	22	8	3	11	21:24	27
სიონი	22	7	5	10	23:30	26
ლოკომოტივი	22	5	5	12	15:26	20
სპარტაკი	22	4	6	12	8:23	18
მერანი	22	5	1	16	12:45	16
ბათუმი	22	4	3	15	13:41	15
დილა	22	1	5	16	8:44	8

დისკვალიფიცირებულნი:

ალბერტ საყვარელიძე (დილა), ჯაბა ბერიანიძე (დილა), ლევან ბაჯელიძე (სიონი), მამუკა ღონღაძე (სპარტაკი), კარენ მაკარიანი (ბათუმი), თემურ ფარულავა (ლოკომოტივი), ზვიად ჩხეტიანი (ლოკომოტივი), ნიკა გუშარაშვილი (ლოკომოტივი), ლევან თედიაშვილი (ბორჯომი), გია მეგრელაძე (ბორჯომი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), მურთაზ კაკაბაძე (მგლები), ლევან ვართაგავა (მგლები), ლერი ხოხონიშვილი (მგლები).

ვის გაუთენდება გორული დილა?

ვინ გახდება საქართველოს ჩემპიონი? ეს კითხვა 22-ე ტურის „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ (0:0) მერე ნაკლებ საინტერესოა. უფრო სწორად, მასზე პასუხის გაცემა გაადვილდა, რაკი „დინამოს“ ჩემპიონების ალბათობა მეტისმეტად დიდია.

რისი იმედი შეიძლება ჰქონდეთ ჩემპიონობის სხვა მაძიებლებს, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ზესტაფონს“? პირველ რიგში იმისა, რომ დინამოელები ზესტაფონში წააგებენ 24-ე ტურის მატჩს, ხოლო ბოლოსწინა ტურში „ლოკომოტივთანაც“ დაკარგავენ ქულებს. თორემ ბოლო ტურის იმედი დინამოელთა მდევრებს არ უნდა ჰქონდეთ — „დინამო“ იმ დროისთვის უკვე გავარდნილ გორის „დილას“ უნდა შეხვდეს და სენსაციური, აბა, რა უნდა მოხდეს...

„დილა“ ბოლო ტურის წინ უკვე გავარდნილად მოვიხსენიეთ და ქვემოთ ამის დასაბუთებასაც შევეცდებით და სეზონის ბოლოს დანარჩენი გავარდნილების ვინაობის გამოცნობასაც.

ამ წუთისთვის იმ გუნდთა სატურნირო მდგომარეობა, გავარდნა რომ ემუქრებათ, ასეთია:

ლოკომოტივი	20
სპარტაკი	18
მერანი	16
ბათუმი	15
დილა	8

გათამაშების რეგლამენტიც გავიხსენოთ: ბოლო სამი გუნდი პირდაპირ ვარდება პირველ ლიგაში, ბოლოდან მეოთხე კი გადათამაშებაში შეხვდება პირველი ლიგის მეორე გუნდს.

ცხრილიდან ჩანს, რომ გორელებს გადათამაშებამდეც კი 10 ქულა აშორებთ და დარჩენილ ოთხ ტურში მათგან ამხელა ჩამორჩენის აღმოფხვრა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. უფრო ლოგიკურია, ჩავთვალოთ, რომ „დილა“ უკვე 23-ე ტურში გაინაღდებს საბოლოოდ გავარდნას.

საფრთხის წინაშე მდგარი სხვა გუნდების განრიგი კი ასეთია:

„ლოკომოტივი“: „მერანი“ (ს), „სპარტაკი“ (შ), „დინამო“ (ს), „ბათუმი“ (შ);

„სპარტაკი“: „ზესტაფონი“ (შ), „ლოკომოტივი“ (ს), „დილა“ (შ), „ოლიმპი“ (ს);

„მერანი“: „ლოკომოტივი“ (შ), „დილა“ (ს), „ოლიმპი“ (შ), „სიონი“ (ს);

„ბათუმი“: „ვიტ ჯორჯია“ (შ), „მესხეთი“ (ს), „ზესტაფონი“ (შ), „ლოკომოტივი“ (ს).

ძალთა ობიექტური თანაბარდობის გათვალისწინებით, გადარჩენის შანსი არც „ბათუმს“ უნდა ჰქონდეს, რადგან ლოგიკურად, ოთხივე თამაში უნდა წააგოს.

„მერანისთვის“ ქულების დაგროვების შანსად „დილასთან“ გამარჯვება ჩანს. შესაძლოა, ბოლნისიდანაც წაიღონ ქულა მაინც, რაკი „სიონისთვის“ სეზონი პრაქტიკულად დამთავრდა და თუ მერანელებმა ეს მოახერხეს, ეგებ „სპარტაკსაც“ შეეცილონ საპლეიოფო ადგილში.

აი, ლევან ცქიტიშვილით, ვიტალი დარასელიათი და რატი ალექსიძით გაძლიერებულ „ლოკომოტივს“ კი თავი ქუდში უნდა ჰქონდეს. სამი მეტოქე ისეთი ჰყავს, წესით და რიგით, რომ უნდა დაამარცხოს. ეს კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად სავსებით საკმარისი იქნება. აი, „დინამოსთან“ მატჩი... თუმცა ამაზე ხომ უკვე ვთქვით — დინამოელებისთვის საჩემპიონო რბოლის ბოლო შესაძლო შემჩერებელი „ლოკომოტივი“ თუ იქნება...

გიორგი დარჯანია

დაცვის სწავლა უფრო ადვილია

კობა ჟორჟიკაშვილისთვის უიმედობა პირველი მტერია

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ცხრილს თუ გადახედავთ, იოლი მისახვედრია, რა რთული ბრძოლები ელით გუნდებს უმაღლესში დასარჩენად. ერთ-ერთი მათგანი ცხინვალის „სპარტაკია“. სხვა აუტსაიდერებისგან განსხვავებით, ცხინვალელები უფრო ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობენ, გოლებსაც სხვებზე ნაკლებს უშვებენ, თუმც გატანითაც ცოტა გააქვთ... რა გეგმები და იმედები აქვთ ცხინვალელებს დარჩენილ ოთხ ტურში, ამის თაობაზე მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს ვესაუბრეთ...

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

— ძალიან რთულ სიტუაციაში ვართ, თამაშებიც არ გველის იოლი, ორი მატჩი ლიდერებთან გვაქვს („ზესტაფონი“, „ოლიმპი“), ორიც კონკურენტებთან („ლოკომოტივი“, „დილა“), თუმც შევეცდებით, ბოლომდე ვიბრძოლოთ და სამართლიანად დავრჩეთ უმაღლეს ლიგაში.

— როგორ ფიქრობთ, დარჩენილ ოთხ ტურში რამდენი ქულა იქნება საჭირო ამ მიზნის მისაღწევად?

— პროგნოზების გაკეთება ძნელია. მარტო ჩვენი ქულები კი არა, მეტოქეებისაც უნდა ვითვალოთ. ვინ რამდენს მოიპოვებს, არავინ იცის.

— ფიქრობთ, რომ ბოლო ტურებში, შესაძლოა, გუნდებმა ერთმანეთს ქულები დაუთმონ?

— გამორიცხული არაფერია. მე ერთი ვიცი, ჩვენ სამართლიანად და პატიოსნად ვითამაშებთ.

— „სპარტაკის“ პრობლემა შეტევაა — გუნდს ყველაზე ცოტა გოლი აქვს გატანილი...

— ეს ყველა სახელდახელოდ შექმნილი გუნდის პრობლემაა. შემტევი ფეხბურთის სწავლებას შემსრულებელი და დრო სჭირდება, ჩვენ კი ამის დეფიციტი გვქონდა. როდესაც გუნდმა შეტევითი ფეხბურთის თამაში დაიწყო, მაშინ დავკარგეთ ირაკლი ჩირიკაშვილი და დავით ჯანელიძე. იძულებულნი გავხდით, გუნდი ხელახლა გაგვეკეთებინა, დაცვითი ფეხბურთი კი უფრო მალე ისწავლება და, რაც შევძელით, ეს არის. თუ მეტი ფინანსები და დრო გვექნება, სამომავლოდ სიტუაციის გამოსწორება ადვილი იქნება.

— იმედიანი ჩანხართ...

— უიმედობა პირველი მტერია. აუცილებლად შევეცდებით, უმაღლესში დავრჩეთ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მაღაროელი გადარჩა

პირველი ლიგის ლიდერს დაფლა ემუქრებოდა

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის დასავლეთის ზონის ლიდერ ჭიათურის „მაღაროელზე“ ცოტა ხნის წინ ითქვა, ფინანსური პრობლემები აქვს და, შესაძლოა, დაიშალოსო. არადა, ჭიათურელებმა უკვე მოიპოვეს პლეი ოფის საგზური და აღმოსავლეთის ზონის გამარჯვებულს ელიან.

გუშინ „მაღაროელის“ მთავარ მწვრთნელ ბადრი ბრეგვაძეს შევეხმიანეთ, რომელმაც გვითხრა: „სერიოზული პრობლემა გვქონდა დაფინანსებასთან დაკავშირებით, მაგრამ, საბედნიეროდ, გამოსწორდა მდგომარეობა და ხელფას-პრემიების ნაწილი დარიგდა. ქალაქის ხელმძღვანელობამ და „ჭიათურმარგანეცმა“ დიდი დახმარება გაგვიწიეს. მალე პლეი ოფი გველის და სერიოზულად ვიწყებთ მზადებას“.

ნუკრი ლოლაძე

გვაზავამ კოჭი მოიშუშა

რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშე ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“ ქართველმა ლეგიონერმა ლევან გვაზავამ ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიში განაახლა.

ქართველ ნახევარმცველს კოჭი აწუხებდა და მე-6 ტურში გროზნოს „ტერეკთან“ სტუმრად 1:2 წაგებული შეხვედრის შემდეგ, რამდენიმე დღე არ უვარჯიშია. თუმცა ცსკა-სთან მოახლოებული თამაშისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

ძახა შალამბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, შარშანდელთან შედარებაც არაა, მაგრამ ლევან კობიაშვილი ვერც წლეულს გადაურჩა ტრავმებს, რის გამოც თებერვლის და მარტის სანაკრებო მატჩებიც გამოტოვა. კობის ბუნდესლიგის ბოლო ტურებშიც უქმობამ მოუწია, შაბათიდან კი ალბათ დაიწყებს — „შალკეს“ უპრინციპულესი მატჩი ელის „ჰამბურგთან“. ისე როგორ იქნებოდა, ლევანს ეროვნული ნაკრების თემაზე არ გავსაუბრებოდით... „მოუთმენლად ველი ახალ მწვრთნელს. ყოველთვის, როცა ახალი სპეციალისტი მოდის, იმედებიც მოჰყვება“ — გვითხრა კობიაშვილმა.

ლევან კობიაშვილი: თანაგუნდელს ტაქტიკური სისუსტე არ უნდა დააბრალო

— ჯერ ჯანმრთელობაზე გკითხავ: კუნთი კვლავ გაწუხებს?

— არა. პარასკევიდან გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, ოღონდ სრული დატვირთვა ორშაბათიდან დავიწყე. იმედია, მეტს აღარ გავწვალდები, ძალიან კი მომიშალა ნერვები ამდენმა ტრავმამ.

— შარშან მუხლი გაწუხებდა, წლეულს კი კუნთმა გაგაწვალა...

— წლეულს უკვე მესამედ დამიშავდა კუნთი. კიდევ კარგი, ახლა გაჭიმული მქონდა, თორემ კიდევ რომ გაწყვეტილიყო, არ ვიცი, ალბათ, კარგახანს მომიწევდა მკურნალობა. არადა, წლევანდლამდე კარიერაში კუნთის ტრავმა არ მქონია.

— შაბათს „ჰამბურგთან“ მნიშვნელოვანი მატჩი გაქვთ: მესამე ადგილზე ხართ და ჰამბურგელებს სამი ქულით უსწრებთ...

— ჩემპიონობისთვის რომ ველარ ვიბრძოლებდით, ეს კარგახნის წინ ვიცოდით. გერმანიაში ჩემპიონი უკვე გარკვეულია, მეორე-მესამე ადგილებზე გასასვლელად კი „შალკეს“ გარდა, კიდევ ოთხი გუნდი იბრძვის. „ჰამბურგმა“ თუ მოგვიგო, ქულებით გვითანაბრდება, ასე რომ, მართლაც, სეზონის მატჩია ჩვენთვის. ისე კი, მეორეზე გასვლაც შეგვიძლია — „ვერდერს“ ჩვენზე ძნელი კალენდარი აქვს.

— მაინც ახალმოშუშებული გაქვს ტრავმა და როგორ ფიქრობ, „ჰამბურგთან“ გათამაშებენ?

— გუნდს მივყვები ჰამბურგში და ძირითად შემადგენლობაში ვიქნები თუ შეცვლაზე შევალ, ეგ აღარ ვიცი, მწვრთნელის გადასაწყვეტია.

— მომავალი სეზონიდან ჰოლანდიელი ფრედ რუტენი გაწვრთნის „შალკეს“. რა იცი ახალ მწვრთნელზე?

— პირადად არ ვიცნობ, მაგრამ რუტენს მშვენიერი შედეგი ჰქონდა ჰოლანდიაში — შარშანაც და წლეულსაც „ტვენტე“ ჰოლანდიის ჩემპიონატის ოთხეულში გაიყვანა.

— გოგა გახოკიძეს ხომ არ დაკავშირებიხარ? რუტენი გოგას მწვრთნელი იყო...

— რა საჭირო იყო... ზაფხულში თბილისში რომ ჩამოვალ, მაშინ გამოველაპარაკები გოგას.

— გერმანულ ვებგვერდზე ვნახეთ, რომ მირკო სლომკას შემცვლელად „შალკეში“ ბრანკო ივანკოვიჩსაც თვლიდნენ. ივანკოვიჩი კი, ალბათ, იცი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის მთავარი კანდიდატია...

— ვერ გეტყვით. სლომკა რომ მოხსნეს, მაშინვე რუტენზე დაიწყო ლაპარაკი, ის იყო ფავორიტი. რაც შეეხება ივანკოვიჩს, ვიცი, რომ ჩვენს ნაკრებში ყველაზე რეალური მისი დანიშვნაა. ვინც უნდა იყოს მწვრთნელი, ფეხბურთელები გვერდით უნდა დავუდგეთ, თვითონაც მთელი მონდომება უნდა ჩააქსოვოს საქმეში.

— ფედერაციის ხელმძღვანელობას შენთვის არ უთხოვია, კავშირები გამოგეყენებინა მწვრთნელის საკითხში?

— ფედერაციის ხელმძღვანელობა „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩზე იყო ჩამოსული გელზენკირხენში, ვისაუბრეთ, მაგრამ მასე არ ყოფილა საკითხი დაყენებული, რომ მე ვყოფილიყავი მწვრთნელის ამბავში ხაზის გამვლები. კარგი იქნება, მაისის ბოლომდე მწვრთნელი გვყავდეს — ორი ამხანაგური თამაშია, მწვრთნელი დააკვირდება ფეხბურთელებს, გაიცნობს სიტუაციას, უფრო მომზადებული შეხვდება შესარჩევ ციკლს.

— კეთილი. ჩამოვიდა მაღალკვალიფიციური მწვრთნელი, სული და გული ჩადო საქმეში, ნაკრების ფეხბურთელებს ტრავმები არ დაერიათ — ამ შემთხვევაში, რისი იმედი უნდა გვქონდეს შესარჩევ ციკლში?

— რეალობას თვალი გავუსწოროთ. ბოლო პერიოდში ნაჩვენები შედეგის მიხედვით, ვერც ერთ მწვრთნელს ვერ მოსთხოვ, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გაიყვანოო. გასაგებია, რომ ამის სურვილი გვაქვს, მაგრამ ეს სურვილი აქვთ ჯგუფის სხვა გუნდებსაც. მიზნების დასახვა, უბრალოდ, ლაპარაკია, ლაპარაკს კი საქმე სჯობია. ჯგუფიდან გასვლა თუ გვინდა, ვიბრძოლოთ თითოეულ მატჩში და მიზანი თავისთავად გამოჩნდება. ძალიან მინდა, ისეთი მწვრთნელი მოვიდეს ნაკრებში, ვინც სიტუაციას დაალაგებს, დისციპლინას უმაღლეს დონეზე აიყვანს.

— შოთა არველაძემ და კახა კალაძემ თქვეს, ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობას ტაქტიკური განათლება აკლიაო. ეთანხმები მათ?

— მე არ ვარ იმის მომხრე, თანაგუნდელებზე ასე ვილაპარაკოთ. მასე თუ ავიღებთ, გრანდების გარდა, ყველა ნაკრებში თუ კლუბშია ტაქტიკურად განვითარებული და ნაკლებად განვითარებული ფეხბურთელები. საქართველოს არცთუ სუსტი შემადგენლობა ჰყავს, აგერ, დავით კვირკველია და ლაშა სალუქვაძე რუსული პრემიერლიგის ლიდერ „რუბინში“ ძალიან კარგად თამაშობენ. უფრო სწორი დამოკიდებულება ის იქნება, თუ ყველა ფეხბურთელი, მათ შორის, კალაძეც და მეც, უფრო მეტს მოვინდომებთ. ძლიერი და ნაკლებად ძლიერი მოთამაშეები ყოველთვის იქნებიან საქართველოს ნაკრებში, ამას ვერ შევცვლით და ვერ გამოვეკიდებით, ამის გამო თავის გამართლება არ იქნება სწორი.

— სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ მომავალი შესარჩევი ჯგუფის ექვსივე ნაკრების ნახევარმცველთა სტატისტიკა გამოვაქვეყნეთ და მათ შორის, ერთ-ერთი მოწინავე ხარ ნაკრებში ჩატარებული თამაშების მიხედვით...

— გასაგებია, წესით, მე უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა მეკისრებოდეს, ვიდრე, მაგალითად, ლევან ყენიას ან სხვა ახალგაზრდას, მაგრამ ერთი ფეხბურთელი გუნდის ნაწილია და არა მთელი გუნდი. დააკვირდით, ყველა თამაშის წინ ჯოხი მოყუდებულია სამოთხე ფეხბურთელზე, აბა, კობიაშვილი როგორ ითამაშებს, აბა, კალაძე როგორ ითამაშებს... ასეც არ შეიძლება. ნაკრებში არსებულ პრობლემებზე სხვებმაც უნდა ილაპარაკონ — თუ გაფუჭებულის გამოსწორება გვინდა, ასეა, თუ არ გვინდა, მაშინ სხვა ამბავია. ნაკრებში ჩატარებული თამაშების სტატისტიკაზე ისიც ვთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნაკრებში მოხვედრა ისე ადვილია, როგორც არსად სხვაგან. მეტი სიმკაცრე და პასუხისმგებლობა უნდა იყოს ფეხბურთელთა მიმართ, მწვრთნელების მიმართ. სამ მატჩს რომ ჩაადებს ფეხბურთელი და მეოთხეში მაინც ძირითადში დააყენებ, ასე ხომ არ შეიძლება...

ილია ნანოგაშვილი

უი, ის ხომ ვარსკვლავია



ქვემომოყვანილ წერილში დევიდ ბექემის მამა ტედი ბექემი გვიამბობს, თუ როგორ აღდგა მისი და მისი ზევარსკვლავ ვაჟს შორის ძველებურ-მამაშვილური ურთიერთობა. გულის შეტევას გადარჩენილმა, ჟურნალისტებს დასტურ განუცხადა, რომ ახლა უკვე მასა და ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს შორის შავი კატა აღარ დარბის.

კიდევ, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბავშვების ბედნიერმა ბაბუამ თქვა, რომ დევიდს ცხრა წლის ბრუკლინისთვის, ხუთი წლის რომეოსა და სამი წლის კრუზისთვის ერთი გოგონას შემატებაც სურს.

ერთი სიტყვით, ტედი თავისი ვაჟის ოჯახში უკვე მიღებული კაცია და ამ ოჯახის ყველა წევრთან — მიაქციეთ ყურადღება, ყველასთან, თვით ვიქტორიასთანაც კი — ჩინებული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა.

„შემიძლია, დევიდს, ნებისმიერ დროს დავურეკო — ამაყობს მამა ბექემი — ახლა უკვე სამაგალითო მამაშვილობა გვაქვს და ამით ნამდვილად ვამაყობ“.

...მაშ ასე, ტედი ბექემი ბედნიერია, მაგრამ მისი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ის და დევიდი მუდამ კარგ ურთიერთობაში როდი იყვნენ.

რა პრობლემა ჰქონდა ბექემიანთ ოჯახს?

რა და ის, რომ 2001 წელს მამა ტედი დედა სანდრას გაეყარა, რაც შვილმა მამა დაადანაშაულა. ამის შემდეგ მამა-შვილს კიდევ უფრო წაუხდა საქმე: ტედმა, როგორც ცნობილი კაცის მშობელმა, ავტობიოგრაფიული წიგნი გამოაცხო, სადაც რაღაც-რაღაც მეტისმეტად პირადულები გამოამზეურა. ტედის წიგნში დევიდის ბავშვობიდან არის ერთი-ორი ისეთი ეპიზოდი, რომლის შესახებაც „ლოს ანჯელეს გალექსის“ ვარსკვლავს უჯობდა, არავის სცოდნოდა.

მერედა, 2000 წლის უიღბლო ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შვილმა მამას საიდუმლოდ უთხრა, ფეხბურთიდან წასვლას ვაპირებო და ეს გულახდილი, კერძო ნათქვამი წიგნში ამოიკითხა...

მაგრამ შარშან 59 წლის ტედს გულმა შეუტია და დევიდიც ლოს ანჯელესიდან თავქუდმოგლეჯილი გამოქანდა მამის მოსავლელად და საპატრონოდ. ისე, გულმა შეუტიაო, კიდევ მსუბუქად არის ნათქვამი იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში მოხდა: საავადმყოფოსკენ გზაზე ტედი ბექემი სასწრაფო დახმარების მანქანაში ფაქტობრივად მოკვდა, მაგრამ ცალკე სასწრაფოს ინგლისელი ექიმებისა და ცალკე საავადმყოფოს პერსონალისა და ქირურგების ჩარევით, მდგომარეობიდან გამოვიდა.

„ჩვენ რთული პერიოდებიც გვქონია, მაგრამ გულის სიღრმეში მე და დევიდს ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთისადმი — ყვება მამა, რომელსაც „ბექზმა“ ამერიკასა და დუბაიში, მის სკოლებში მასწავლებლობა სთხოვა — მუდმივად იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ, დევიდისთვის კვანტი გამოედოთ, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს და, როგორც ხედავთ, ჩემი შვილი ისევ მწვერვალზეა. მას სამი არაჩვეულებრივი შვილი და ისეთი ცოლი ჰყავს, რომელიც დღენიადაგ მის წახალისებაშია. ვიცი, ბევრი ფიქრობს, რომ ის სუსტი ნებისყოფის ადამიანია და სასაცილოდაც ლაპარაკობს, მაგრამ ასე არ არის“.

შემდეგ, ტედ ბექემმა ჟურნალისტებს კიდევ ერთი სიამაყის საბაბი გაანდო.

„ჩემი შვილიშვილები ძალიან ცნობილი მშობლების შვილები არიან, მაგრამ ამ სტატუსს ღირსეულად უმკლავდებიან. ისინი ფიქრობენ, რომ მათი დედიკო მამიკოზე ცნობილია. ვიქტორია „სფაის გელზის“ ტურის დროს ერთ-ერთ კონცერტზე ვნახე და მართალია, ასეთ მუსიკაში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი, მაგრამ აშკარად ძალიან მაგარი იყო. გამიხარდა, როდესაც ვნახე, როგორ ესალმებოდა ხალხი“.

მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად გასაკვირი არ არის, რამდენადაც ის აღიარება, რომ ტედის საკუთარი შვილისა ერიდება.

„გნებავთ დამიჯერეთ, გნებავთ არა, მაგრამ ჩემი შვილის ვარკსვლავობა, ცოტა არ იყოს, მთრგუნავს. ეს ძალიან უცნაური შეგრძნებაა. თავიდან ფიქრობ, „ო, ეს ჩემი ბიჭია“, მერე კი „უი, ის სუპერვარსკვლავია...“

მაგრამ ბოლო ხანს დამთბარი ურთიერთობისა და სხვა სიკეთეების მიუხედავად, მამასა და შვილს შორის ერთი წინააღმდეგობა აშკარად არის: ტედს დევიდის ტატუები არ მოსწონს.

„ადრე ამბობდა, ცხოვრებაში ერთ ტატუსაც არ გავიკეთებო, მაგრამ გავიდა დრო და თავად ხედავთ, რომ მთელი სხეული მოხატული აქვს. თუ კიდევ ერთი შვილი არ გაუჩნდათ, იმედი მაქვს, მეტ ტატუს აღარ დაიმატებს, მაგრამ დევიდს ძალიან უნდა, სამ ვაჟს ერთი გოგონაც რომ შემატოს“.

და ბოლოს, მამა ბექემი ამბობს, რომ მისი ვაჟი ფეხბურთის გიჟია და თავსაც იქებს:

„ის ფეხბურთით სუნთქავს, ფეხბურთთან ერთად ძინავს, ღვიძავს. სულერთი იყო, როდის დავბრუნდებოდი სამსახურიდან, ის დამხვდებოდა და მეუბნებოდა „წამო, მამა, ბაღში გავიდეთ, ფეხბურთი ვითამაშოთ“ და მეც ისე ვიქცეოდი, როგორც ნებისმიერი კარგი მამა მოიქცეოდა, ხელს ვუწყობდი იმაში, რაც ძალიან უნდოდა“.

პაპუნა კედია

ატლეტიკო ლუჩოზე ნადირობს

მადრიდის „ატლეტიკო“ საომავალსეზონოდ მოედნის ცენტრის გაძლიერებას აპირებს და ამისთვის ევროპულ საფეხბურთო ბაზარზე ვარსკვლავებს დაეძებს. „ათლეტები“, რომლებსაც შანსი აქვთ, გაისად ჩემპიონთა ლიგაში მოხვდნენ, არგენტინელი ლუჩო გონსალესის შეძენას აპირებენ.

სანტოს პერესი, „ატლეტიკოს“ ერთ-ერთი თავკაცი, სამშაბათს პორტუგალიაში გახლდათ, „პორტუსა“ და „სეტუბალს“ შორის პორტუგალიის თასის ნახევარფინალურ შეხვედრას დაესწრო. იგი „პორტუს“ ლიდერ ნახევარმცველ ლუჩო გონსალესს აკვირდებოდა. აქამდეც არაერთხელ ჩასულან მადრიდელები პორტუში, ლუჩო ხომ „მელეიბეების“ დიდი ხნის ოცნებაა.

გონსალესის ყიდვის იდეას ოპონენტი არ ჰყავს — „ატლეტიკოში“ არგენტინელი ყველას იდეალურ სამომავლო ვარიანტად უღიარებია. პრობლემა კი, რომელმაც შეიძლება ტრანსფერს ხელი შეუშალოს, ფინანსურია — ლუჩო გონსალესი 20 მილიონი ევრო ღირს და „მელეიბეთა“ თავკაცები, სერეზო და ხილ მარინი, ამ თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიხდიან, თუ „ატლეტიკომ“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გაინაღდა. ასეთ შემთხვევაშიც კი, მადრიდული გუნდისთვის გონსალესის ტრანსფერი ფრიად სოლიდურ დანახარჯად უნდა შევაფასოთ.

ლუჩო ტექნიკურად და ფიზიკურად საოცრად ძლიერი ფეხბურთელია, რომელსაც ნახევარდაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და მარჯვენა ფლანგზეც. მას „კალდერონზე“ ადრეც ეპატიჟებოდნენ და ახლა ყველაფერი იმ თანხაზეა დამოკიდებული, „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი „პორტუს“ თავკაცს სატრანსფერო მაგიდაზე რომ დაუდებს.

გონსალესით ადრე სხვა ესპანური კლუბი, „ვალენსიაც“ იყო დაინტერესებული. ზაფხულში „ღამურებმა“ არგენტინელის სანაცვლოდ 18 მილიონი ევრო გაიმეტეს, მაგრამ გონსალესმა მაინც „პორტუში“ დარჩენა ამჯობინა. „დრაგაუზე“ ლუჩო ღმერთივით ჰყავთ, იგი პორტუგალიელთათვის შეუცვლელი ფეხბურთელია.

არგენტინელი ნახევარმცველი „პორტუში“ 2005-06 წლების სეზონში მივიდა და ეს იქაურ სუპერლიგაში მისი მესამე კამპანიაა. ლუჩოს გვერდით თამაშობს რიკარდუ კვარესმა, ფეხბურთელი, რომელიც „ატლეტიკომ“ თითქმის იყიდა, მაგრამ ბოლო მომენტში გარიგება ჩაეშალა. გონსალესს დიდსაფეხბურთო ევროპული გამოცდილება აქვს, რადგანაც „პორტუ“ ევროტურნირებს არ აკლდება. გარდა ამისა, 27 წლის ლუჩო არგენტინის ნაკრების უცვლელი წევრია.

ლადო ხოფერიძე

მოჯი: იუვენტუსის მამა ვიყავი

„იუვენტუსის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ იტალიური პრესისთვის მორიგი კომენტარები და რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთა.

როგორც იცით, 70 წლის მოჯი ამჟამად ფეხბურთიდან 5 წლითაა მოკვეთილი. იგი კალჩოპოლის სკანდალში ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ არის მიჩნეული.

„მე იმ ბიზნესის და საქმის დაცვა მომიხდა, რომელსაც ფაქტობრივად პატრონი აღარ ჰყავდა. ჯანი და უმბერტო ანიელების გარდაცვალების შემდეგ „იუვენტუსი“ მიტოვებული დარჩა, კლუბს არც დედა ჰყავდა და არც მამა. დიდი გასაქანი არ გვქონდა, რადგან აქციონერები კლუბში ფულს არ დებდნენ. არც რომელიმე სატელევიზიო არხი იყო ჩვენს მხარეს. ასე რომ, სხვებზე ერთი ნაბიჯით უკან ვიყავით. RAI „რომას“ უჭერდა მხარს, ხოლო SKY და „მედიასეტი“ ვისაც ეკუთვნის, ყველამ ვიცით. გვიხდებოდა, რაც გვქონდა, ფონს იმით გავსულიყავით და თავი ისე ძლიერებად მოგვეჩვენებინა, როგორებიც რეალურად არ ვიყავით“ — თქვა მოჯიმ.

„ბებერი ქალბატონის“ ექსდირექტორი შემდეგ თავისი ნამოქმედარის დაცვასა და გამართლებას შეუდგა: „ნამდვილად ზედმეტად თავდაჯერებული და ცინიკური ვიყავი, მაგრამ ეს დანაშაული არ არის. უკანონო არაფერი გამიკეთებია და ამაზე არც მიფიქრია. უბრალოდ, გულუბრყვილო ადამიანი ვიყავი, რომელიც ნელ-ნელა გაიზარდა. როცა გარკვეულ სტადიამდე მივედი, ყველამ მე დამიწყო ტალახის სროლა და არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამან კიდევ უფრო გამზარდა“.

მან თანამედროვე ფეხბურთელებზეც ისაუბრა და მათ ჭკვიანები, ცბიერები და ხარბები უწოდა.

„დღევანდელი ფეხბურთელები უფრო კულტურულები არიან — ამბობს მოჯი — ამ მხრივ ალესანდრო დელ პიეროს გამოვარჩევდი. ზლატან იბრაჰიმოვიჩს, პატრიკ ვიეირასა და პაველ ნედვედსაც ვერ წაართმევ ჭკუას. თუმცა თანამედროვე ფეხბურთელები ძალიან ხარბები არიან. თუ არ აძლევ, რასაც ითხოვენ (არადა, ზოგჯერ მართლა ვერ აძლევ), ისინი პირველივე შესაძლებლობას იყენებენ, რათა ფეხი დაგიდონ. უფროსობა უყვართ, არადა, რეალურად, დაქირავებულები არიან. ამ ფსიქოლოგიური ასპექტისა და მომთხოვნი ფეხბურთელების რაოდენობის გათვალისწინებით, შეჯიბრი რომ მოგვეწყო, „ინტერი“ ნამდვილად ცხრილის ფსკერზე იქნებოდა“.

სხვათა შორის, მოჯიმ ჰომოსექსუალისტ ფეხბურთელებზე საუბარს დიდი დრო დაუთმო და აღნიშნა, ფეხბურთში ჰომოსექსუალების ყოფნას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებიო.

ძოძი ძანდელაძი

ტოტის მუხლი ჩქარია



„რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, რომელმაც მუხლზე ოპერაცია ახლახან გაიკეთა, სარეკორდო ტემპებში მომჯობინებას აგრძელებს. მისი სარეაბილიტაციო პერიოდი დაგეგმილზე ჩქარა, წარმატებით მიდის.

„სირბილს 20 დღეში დავიწყებ, თერაპიის კურსს წარმატებით გავდივარ. უკვე სიარული დავიწყე, დამხმარესთან ერთად რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ. დროს როგორ ვატარებ? ძირითადად ლოგინში ვწევარ, მაგრამ როგორც გითხარით, მალე ძუნძულს დავიწყებ“ — განაცხადა ოპტიმისტურად განწყობილმა „პუპონემ“.

მიუხედავად ტოტის ასეთი ენთუზიაზმისა და მისი ქირურგის, პიერპაოლო მარინის ოპტიმიზმისა, ვარაუდობენ, რომ 31 წლის ფეხბურთელი აგვისტოზე ადრე მაინც ვერ დაუბრუნდება მინდორს.

საკუთარ ტრავმაზე ტოტის ოპტიმისტური განწყობა კი აქვს, მაგრამ იმას იაზრებს, რომ „რომას“ სკუდეტო ფაქტობრივად დაკარგული აქვს.

„99 პროცენტით გეტყვით, რომ ჩემპიონები ვეღარ გავხდებით. საქმე ძალიან რთულადაა, ოთხი მატჩი დაგვრჩა და 6 ქულა გვაქვს ამოსაქაჩი, ეს კი თითქმის შეუძლებელია, ვითარებას რეალურად უნდა შეეხედოთ. ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ წინა ტურში „ლივორნოსთან“ ფეხი დაგვიცდა და ყველაფერი იქ დამთავრდა“ — აღნიშნა „გლადიატორთა“ სიმბოლომ.

გიორგი კაკაბაძე

ტვენტელის განშალკვება



„შალკემ“ ახალი მწვრთნელის ვინაობა დაასახელა. ჰოლანდიელი ფრედ რუტენი — აი, ვინ გაუძღვება ლევან კობიაშვილის გუნდს მომავალი სეზონიდან.

45 წლის რუტენი ჯერჯერობით სამშობლოშია და „ტვენტეს“ უდგას სათავეში. მოგეხსენებათ, „ხუმარების“ თავკაცის თანამდებობაზე ის მირკო სლომკას შეცვლის, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ბარსელონასთან“ დამარცხებისა და ბუნდესლიგაში „ვერდერთან“ 1:5 წაგების შემდეგ სამსახურიდან გაუშვეს.

როგორც „შალკედან“ იტყობინებიან, რუტენი საქმეს 1 ივნისიდან შეუდგება და ორ წელიწადს იმუშავებს. იტყობინებიან იმასაც, რომ მიმდინარე სეზონს „ხუმარებს“ მიკე ბიუსკენსი და იური მიულდერი ჩაამთავრებინებენ, რომლებიც შემდეგ ახალი თავკაცის ასისტენტებად განაგრძობენ საქმიანობას.

„შალკე“ გასულ სეზონში ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონი გახდა, სადღეისოდ კი, ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე, მესამე პოზიციაზეა.

რუტენზე კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ 1979 წლის შემდეგ, ფაქტობრივად გაუსვლელად არის „ტვენტეში“. ერთადერთი პერიოდი, როდესაც მან სხვა გუნდს მიაშურა, 2002-2006 წლები გახლდათ — გუს ჰიდინკის ასისტენტი იყო პსვ-ში.

„ჩემთვის „ტვენტედან“ წასვლა მართლა ძალიან მძიმეა — უთხრა რუტენმა ჟურნალისტებს გელზენკირხენში გამართულ პრესკონფერენციაზე — მაგრამ მწამს, იქაურობას რაღაც კვალი დავამჩნიე. გარდა ამისა, ძალიან მეამაყება, რომ ბუნდესლიგის ერთ-ერთ უდიდეს კლუბს უნდა ჩავუდგე სათავეში“.

პაპუნა კედია

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

დამიხედეთ სერ ალექსს! წელიწადში 363 დღე შემტევ ფეხბურთზე ლაპარაკობს, დარჩენილ ორ დღეში კი „სტიკავოი თამაშები“ უწევს და ისეთ „ატ აბარონის“ აყენებს, „ინტერს“ შურისგან კანკალი ეწყება.

რატომ აკეთებს სერ ალექსი ამას?

იმიტომ, რომ ჯიგარია, შოტლანდიელი. სქოთებს ასწავლი, ერთის თქმას და მეორის გაკეთებას? — აი, ასეთი გახლავთ ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩის, „ბარსელონა“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახვის შემდეგ „სარბიელის“ კოსმოპოლიტური ბიუროს საერთაშორისო განყოფილების ექსპერტთა დასკვნა.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალურ შეხვედრას „ლივერპულსა“ და „ჩელსის“ შორის: ვენაცვალე რიისს! იმიტომ კი არა, რომ „ჩელსი“ მევასება, აბრამოვიჩისკენ ვარ, რუსეთის სპეცსლუჟბებში ვმუშაობ და საქართველოს აფხაზეთს ვაწერავ. იმიტომ, რომ მეოთხედფინალი რომ იყო, „ლივერპული“ „არსენალთან“ ჩავიდა, დაცვიდან ითამაშა, სათავისო შედეგი მიიღო, საპასუხო შეხვედრაში შესატევი რაღა ჰქონდა, ისევ დაცვიდან ითამაშა, ისევ სათავისო შედეგი მიიღო; მერე, ნახევარფინალი იყო და „ჩელსის“ კარში ერთი კინკილა გოლით, სათავისო შედეგს იღებდა, რის მერეც საპასუხო შეხვედრაში შესატევი რაღა ექნებოდა, ისევ და ისევ დაცვიდან ითამაშებდა და... გაგიჟდა რიისე, ტო, ბიჭს შეტევა უნდა, ფუტბოლი, რამე, ბურთის გაგორება... ეგრე, ძმაო, სად არი... აიღო და გლიჯა თავის კარში!

ნუ, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ახლა კი სერიოზულად: თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე პირველი რიგიდან ერთმა როჟამ რიისეს სამი თითი აჩვენა. ინგლისელ მაყურებელს ეგონა, რომ ის როჟა ამ ფეხბურთელს დარჩენილ დროს ანიშნებდა, რუსებს ეგონათ, რომ კუკიშს აჩვენებდა, სინამდვილეში კი ყურბანი მსოფლიოს თვალწინ იმან ამას „იმენა სამ მილიონს ჩაგახუტებთო“ აჩვენა. ხო აზრზე ხარ, ტოტალიზატორი, კოეფიციენტი, ერთიანის გატეხვა და რამე. ჰოდა, ადგა ბიჭი და ხია თავის კარში — ვისაც არ სჯერა, თბილისის ლუბოი უბანში იკითხოს.

ნუ, ხარაშო. შენ ის მითხარი, თასს ვინ აიღებს? თბილისის ერთი-ორ უბანში საქმეში ჩახედულმა მასტებმა მითხრეს, რომ წელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჯერია, მაგრამ ეგენი მანჩესტერს ბალეშჩიკობენ და ეშლებათ. აბა, ვინ, „ლივერპული“? ეგ იყო! „ბარსა“? ეგეც ორი წლის წინ იყო! „ჩელსი“, ძმაო, აი, ვინ დაგავიწყდათ!

რომან არკადიევიჩ!

ეგ ხომ იასნია — რამდენიც გადასახდელია და სადაც გადასახდელია, გადაიხდიდა.

სად არის გადასახდელი? სად და იქ, საიდანაც მთელი მსოფლიო იმართება... უფრო სწორედ, მაგის სპორტულ ატდელში. ნუ, სპორტმასონები, რა, რა ვერ გაიგე...

აბა, ერთი მითხარი, რატომ დანიშნეს ლიგის ფინალი მოსკოვში, დაენიშნათ სადმე პარიზში ან მადრიდში, თავიდანვე ხო იასნი იყო, თასს ვერც ერთის გუნდი მოიგებდა და ვერც... ნუ, მეორეზე საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია, „უელვებთან“ და „მურსიებთან“ 17:15-ებს თამაშობს. მაგრამ არა, გააქანეს და მოსკოვში დანიშნეს, იმიტომ, რომ პარიზი და მადრიდი წელს ნაღდად ნეიტრალური ქალაქებია, მოსკოვი კიდევ, ბრატ, „ჩელსის“ სახლია.

ხო ხედავ? შენ კიდე ამბობ, ჩასატანი არ ჩატანილა, გასაკეთებელი არ გაკეთებულა, მოსაპარი არ მოპარულა, მოსაწევი არ მოწეულა, გასატეხი არ გატეხილა, გასასწორებელი არ გასწორებულა და მისაღები არ მიღებულაო.

თუ ეგ შენ არ გითქვამს?

პაპუნა კედია

P.S. იმ დღეს მითხრეს, რომ პაკრიშკა რუსული სიტყვაა. ქართულად ყოფილა ფოქრიში. თუ ასეა, როგორ არის ქართულად სტეკლოტარა და გიპსოკარდონი?

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ნახევარფინალი. პირველი მატჩი

კრიშტიანუ რონალდუ: რაც „მანჩესტერში“ ვარ, 15-16 პენალტი მექნება გატანილი და ალბათ, ერთი-ორი გაფუჭებული

სერ ალექს ფერგიუსონმა ცხვირსახოცი ვერ იპოვა

ბარსელონა 0:0 მანჩესტერი

რონალდუმ ვერ გაიტანა პენალტი (3, ძელი)

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, მარკესი, მილიტო, აბიდალი, ხავი, ტურე, დეკუ (ანრი 77), მესი (კრკიჩი 62), ეტოო, ინიესტა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ჰარგრივსი, ფერდინანდი, ბრაუნი, ევრა, რონალდუ, კარიკი, სქოულზი, ჰარკი, რუნი (ნანი 76), ტევესი (გიგზი 85)
მწვრთელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მარკესი (44), ჰარგრივსი (73)
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
98 000 მაყურებელი

„რაც „მანჩესტერში“ ვარ, 15-16 პენალტი მექნება გატანილი და ალბათ, ერთი-ორი გაფუჭებული — თქვა რონალდუმ — ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ხან გაიტან, ხან ვერა. თუ აქ არ გამომივიდა, „ოლდ ტრეფორდზე“ გამომივა. ჩემთან პრეტენზიებით არავინ მოსულა რადგან, ყოველთვის უკეთესად თამაშს და გატანას ვცდილობ. თუ საპასუხო მატჩში ჩვენს სასარგებლოდ პენალტი დაინიშნება, კვლავაც დავარტყამ.

უდიდესი ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, „ბარსელონას“ ბევრი საგოლე მომენტი არ ჰქონია, რადგან დაცვაში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, თუმც „ოლდ ტრეფორდზე“ შეტევაში ბევრად უკეთ გარჯა მოგვიწევს. ზოგადად, ჩვენს მეტოქეზე მეტ საგოლე ეპიზოდს ვქმნით, რაც ამჯერად არ გამოგვივიდა.

ეს ნამდვილად არ იყო „მანჩესტერის“ საუკეთესო მატჩი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საპასუხო შეხვედრაში „ბარსელონა“ ისე ვედარ გააგორებს ბურთს, როგორც „კამპ ნოუზე“.

პატრის ევრა რონალდუს მხარდამჭერთა სიაში ჩაეწერა: „მას არაერთხელ გაუტანია გდამწყვეტი გოლი და ვფიქობ, „ოლდ ტრეფორდზე“ ერთ-ორს კიდევ შეაგდებს“.

ევრას კვერი დაუკრა რუნიმაც: „მან ამ სეზონში 38 გოლი მიითვალა და ეს უკვე რონალდუს კლასზე თავისთავად მეტყველებს. ბევრ დიდ ფეხბურთელს წაუხდენია პენალტი და მოდით, ამზე ნუ ვინერვიულებთ“.

გოლი:ზეკილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ზეკილად)

17165	პამბურგი-შალკე	1.85	1.95
17166	კარლსრუე-ვერდერი	1.85	1.95
17167	აინტრახტი-დორტმუნდი	1.85	1.95
17168	პანოვერი-ჰერტა	1.85	1.95
17169	ნიურნბერგი-არმინია	1.85	1.95
17170	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.85	1.95
17171	კოტბუსი -ჰანზა	1.85	1.95
17172	ბოხუმი-დუისბურგი	1.85	1.95
17173	ბაიერნი-შტუტგარტი	1.85	1.95
17174	კაიზერსლაუტერნი-ალემანია	1.85	1.95
17175	ფრაიბურგი-ფიურტი	1.85	1.95
17176	მიონხენგლადბახი-მიუნხენი 1860	1.85	1.95
17177	აუე-კიოლნი	1.85	1.95
17178	პადერბორნი-კობლენცი	1.85	1.95
17179	ჰოფენჰაიმი-კარლ ცაისი	1.85	1.95
17180	ვეენი-ოფენბახი	1.85	1.95
17181	აუგსბურგი-ზტ.პაული	1.85	1.95
17182	ოსნაბრიუკი-მაინცი	1.85	1.95
17216	თუნი-სტ.გალენი	1.85	1.95
17217	ქსამაქსი-გრასჰოპერი	1.85	1.95
17218	აარაუ-ბაზელი	1.85	1.95
17308	ბრესტი-ამიენი	1.85	1.95
17309	ლიბურნი-ანჟე	1.85	1.95
17310	ტრუა-ბულონი	1.85	1.95
17311	ბასტია-შატორუ	1.85	1.95
17312	დიჟონი-გენგამი	1.85	1.95
17313	ნანტი-მონპელიე	1.85	1.95
17314	გენიონი-ნიორი	1.85	1.95
17315	ლე ავრი-რეიმსი	1.85	1.95
17316	კლერმანი-სედანი	1.85	1.95
17317	გრენობლი-აიაჩო	1.85	1.95
17318	შარლეროა-სტანდარდი	1.85	1.95
17319	ბრიუგე-რუზელარე	1.85	1.95
17320	დენდერი-ვარეგემი	1.85	1.95
17321	გენკი-ბრიუსელი	1.85	1.95
17322	ლოკერენი-გენტი	1.85	1.95
17324	მუსკრონი-სერკლი	1.85	1.95
17325	მონსი-ბეერსხოტი	1.85	1.95
17326	ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი	1.85	1.95
17342	გიმარაეში-პორტუ	1.85	1.95
17343	ნახიონალი-აკადემიკა	1.85	1.95
17344	ნავალი-ბოავიშტა	1.85	1.95
17345	ბრაგა-ფერეირა	1.85	1.95
17346	სპორტინგი-მარიტიმუ	1.85	1.95
17347	ლეირია-ლეიშოეში	1.85	1.95
17348	სეტუბალი-ამადორა	1.85	1.95
17349	ბენფიკა-ბელენენსეში	1.85	1.95
17358	დინამო მ-რუბინი	1.85	1.95
17360	ხიმკი-კრილია	1.85	1.95
17361	ამკარი-შინიკი	1.85	1.95
17362	ენერგია-ცსკა	1.85	1.95

რომელი ბუნდი ბახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წესონი წაგებულად ჩაითვლება)

14165	პამბურგი-შალკე	1.80	2.00
14166	კარლსრუე-ვერდერი	2.40	1.45
14167	აინტრახტი-დორტმუნდი	1.80	2.00
14168	პანოვერი-ჰერტა	1.75	2.10
14169	ნიურნბერგი-არმინია	1.45	2.40
14170	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.45	2.40
14171	კოტბუსი -ჰანზა	1.75	2.10
14172	ბოხუმი-დუისბურგი	1.70	2.20
14173	ბაიერნი-შტუტგარტი	1.45	2.40
14174	კაიზერსლაუტერნი-ალემანია	1.70	2.20
14175	ფრაიბურგი-ფიურტი	1.70	2.20
14176	მიონხენგლადბახი-მიუნხენი 1860	1.30	2.50
14177	აუე-კიოლნი	2.30	1.65
14178	პადერბორნი-კობლენცი	1.95	1.85
14179	ჰოფენჰაიმი-კარლ ცაისი	1.20	2.60
14180	ვეენი-ოფენბახი	1.80	2.00
14181	აუგსბურგი-ზტ.პაული	1.65	2.30
14182	ოსნაბრიუკი-მაინცი	2.10	1.75
14216	თუნი-სტ.გალენი	1.85	1.95
14217	ქსამაქსი-გრასჰოპერი	1.80	2.00
14218	აარაუ-ბაზელი	2.30	1.65
14308	ბრესტი-ამიენი	1.70	2.20
14309	ლიბურნი-ანჟე	1.75	2.10
14310	ტრუა-ბულონი	1.30	2.50
14311	ბასტია-შატორუ	1.65	2.30
14312	დიჟონი-გენგამი	1.75	2.10
14313	ნანტი-მონპელიე	1.30	2.50
14314	გენიონი-ნიორი	2.00	1.80
14315	ლე ავრი-რეიმსი	1.30	2.50
14316	კლერმანი-სედანი	1.75	2.10
14317	გრენობლი-აიაჩო	1.30	2.50
14318	შარლეროა-სტანდარდი	2.00	1.80
14320	დენდერი-ვარეგემი	1.80	2.00
14321	გენკი-ბრიუსელი	1.20	2.60
14322	ლოკერენი-გენტი	1.80	2.00
14323	მეხელენი-ვესტერლო	1.80	2.00
14324	მუსკრონი-სერკლი	1.95	1.85
14325	მონსი-ბეერსხოტი	1.85	1.95
14342	გიმარაეში-პორტუ	2.00	1.80
14343	ნახიონალი-აკადემიკა	1.75	2.10
14344	ნავალი-ბოავიშტა	1.75	2.10
14345	ბრაგა-ფერეირა	1.65	2.30
14346	სპორტინგი-მარიტიმუ	1.20	2.60
14347	ლეირია-ლეიშოეში	1.90	1.90
14348	სეტუბალი-ამადორა	1.30	2.50
14349	ბენფიკა-ბელენენსეში	1.30	2.50
14358	დინამო მ-რუბინი	1.80	2.00
14360	ხიმკი-კრილია	1.90	1.90
14361	ამკარი-შინიკი	1.45	2.40
14362	ენერგია-ცსკა	2.20	1.70

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15165	პამბურგი-შალკე	3.00	2.80	2.00
15166	კარლსრუე-ვერდერი	3.00	2.80	2.00
15167	აინტრახტი-დორტმუნდი	3.00	2.80	2.00
15168	პანოვერი-ჰერტა	3.00	2.80	2.00
15169	ნიურნბერგი-არმინია	3.00	2.80	2.00
15170	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	3.00	2.80	2.00
15171	კოტბუსი -ჰანზა	3.00	2.80	2.00
15172	ბოხუმი-დუისბურგი	3.00	2.80	2.00
15173	ბაიერნი-შტუტგარტი	3.00	2.80	2.00
15174	კაიზერსლაუტერნი-ალემანია	3.00	2.80	2.00
15175	ფრაიბურგი-ფიურტი	3.00	2.80	2.00
15176	მიონხენგლადბახი-მიუნხენი 1860	3.00	2.80	2.00
15177	აუე-კიოლნი	3.00	2.80	2.00
15178	პადერბორნი-კობლენცი	3.00	2.80	2.00
15179	ჰოფენჰაიმი-კარლ ცაისი	3.00	2.80	2.00
15180	ვეენი-ოფენბახი	3.00	2.80	2.00
15181	აუგსბურგი-ზტ.პაული	3.00	2.80	2.00
15182	ოსნაბრიუკი-მაინცი	3.00	2.80	2.00
15216	თუნი-სტ.გალენი	3.00	2.80	2.00
15217	ქსამაქსი-გრასჰოპერი	3.00	2.80	2.00
15218	აარაუ-ბაზელი	3.00	2.80	2.00
15308	ბრესტი-ამიენი	3.00	2.80	2.00
15309	ლიბურნი-ანჟე	3.00	2.80	2.00
15310	ტრუა-ბულონი	3.00	2.80	2.00
15311	ბასტია-შატორუ	3.00	2.80	2.00
15312	დიჟონი-გენგამი	3.00	2.80	2.00
15313	ნანტი-მონპელიე	3.00	2.80	2.00
15314	გენიონი-ნიორი	3.00	2.80	2.00
15315	ლე ავრი-რეიმსი	3.00	2.80	2.00
15316	კლერმანი-სედანი	3.00	2.80	2.00
15317	გრენობლი-აიაჩო	3.00	2.80	2.00
15318	შარლეროა-სტანდარდი	3.00	2.80	2.00
15320	დენდერი-ვარეგემი	3.00	2.80	2.00
15321	გენკი-ბრიუსელი	3.00	2.80	2.00
15322	ლოკერენი-გენტი	3.00	2.80	2.00
15323	მეხელენი-ვესტერლო	3.00	2.80	2.00
15324	მუსკრონი-სერკლი	3.00	2.80	2.00
15325	მონსი-ბეერსხოტი	3.00	2.80	2.00
15342	გიმარაეში-პორტუ	3.00	2.80	2.00
15343	ნახიონალი-აკადემიკა	3.00	2.80	2.00
15344	ნავალი-ბოავიშტა	3.00	2.80	2.00
15346	სპორტინგი-მარიტიმუ	3.00	2.80	2.00
15347	ლეირია-ლეიშოეში	3.00	2.80	2.00
15348	სეტუბალი-ამადორა	3.00	2.80	2.00
15349	ბენფიკა-ბელენენსეში	3.00	2.80	2.00
15358	დინამო მ-რუბინი	3.00	2.80	2.00
15360	ხიმკი-კრილია	3.00	2.80	2.00
15361	ამკარი-შინიკი	3.00	2.80	2.00
15362	ენერგია-ცსკა	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16165	პამბურგი-შალკე	1.65	2.05
16166	კარლსრუე-ვერდერი	3.30	1.25
16167	აინტრახტი-დორტმუნდი	1.58	2.10
16168	პანოვერი-ჰერტა	1.50	2.30
16169	ნიურნბერგი-არმინია	1.25	3.40
16170	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.24	3.60
16171	კოტბუსი -ჰანზა	1.50	2.30
16172	ბოხუმი-დუისბურგი	1.40	2.55
16173	ბაიერნი-შტუტგარტი	1.24	3.60
16174	კაიზერსლაუტერნი-ალემანია	1.40	2.55
16175	ფრაიბურგი-ფიურტი	1.40	2.55
16176	მიონხენგლადბახი-მიუნხენი 1860	1.14	4.70
16177	აუე-კიოლნი	2.90	1.32
16178	პადერბორნი-კობლენცი	1.82	1.82
16179	ჰოფენჰაიმი-კარლ ცაისი	1.10	5.50
16180	ვეენი-ოფენბახი	1.65	2.05
16181	აუგსბურგი-ზტ.პაული	1.32	3.00
16182	ოსნაბრიუკი-მაინცი	2.20	1.50
16216	თუნი-სტ.გალენი	1.80	1.85
16217	ქსამაქსი-გრასჰოპერი	1.65	2.05
16218	აარაუ-ბაზელი	2.90	1.32
16308	ბრესტი-ამიენი	1.40	2.55
16309	ლიბურნი-ანჟე	1.52	2.20
16310	ტრუა-ბულონი	1.22	3.40
16311	ბასტია-შატორუ	1.32	3.00
16312	დიჟონი-გენგამი	1.50	2.30
16313	ნანტი-მონპელიე	1.17	4.10
16315	ლე ავრი-რეიმსი	1.17	4.10
16316	კლერმანი-სედანი	1.50	2.30
16317	გრენობლი-აიაჩო	1.22	3.40
16318	შარლეროა-სტანდარდი	2.05	1.65
16320	დენდერი-ვარეგემი	1.62	2.05
16321	გენკი-ბრიუსელი	1.11	5.70
16322	ლოკერენი-გენტი	1.65	2.05
16323	მეხელენი-ვესტერლო	1.62	2.05
16324	მუსკრონი-სერკლი	1.82	1.82
16325	მონსი-ბეერსხოტი	1.75	1.85
16342	გიმარაეში-პორტუ	2.05	1.65
16343	ნახიონალი-აკადემიკა	1.45	2.45
16344	ნავალი-ბოავიშტა	1.52	2.20
16345	ბრაგა-ფერეირა	1.32	3.00
16346	სპორტინგი-მარიტიმუ	1.11	5.70
16347	ლეირია-ლეიშოეში	1.80	1.85
16348	სეტუბალი-ამადორა	1.22	3.40
16349	ბენფიკა-ბელენენსეში	1.17	4.10
16358	დინამო მ-რუბინი	1.58	2.10
16360	ხიმკი-კრილია	1.95	1.65
16361	ამკარი-შინიკი	1.25	3.40
16362	ენერგია-ცსკა	2.90	1.32

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ
13165	პამბურგი-შალკე	1.70	1.90
13166	კარლსრუე-ვერდერი	1.60	2.00
13167	აინტრახტი-დორტმუნდი	1.60	2.00
13168	პანოვერი-ჰერტა	1.60	2.00
13169	ნიურნბერგი-არმინია	1.70	1.90
13170	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.60	2.00
13171	კოტბუსი -ჰანზა	1.70	1.90
13172	ბოხუმი-დუისბურგი	1.60	2.00
13173	ბაიერნი-შტუტგარტი	1.60	2.00
13174	კაიზერსლაუტერნი-ალემანია	1.70	1.90
13175	ფრაიბურგი-ფიურტი	1.70	1.90
13176	მიონხენგლადბახი-მიუნხენი 1860	1.70	1.90
13177	აუე-კიოლნი	1.60	2.00
13178	პადერბორნი-კობლენცი	1.60	2.00
13179	ჰოფენჰაიმი-კარლ ცაისი	1.80	1.80
13180	ვეენი-ოფენბახი	1.70	1.90
13181	აუგსბურგი-ზტ.პაული	1.80	1.80
13182	ოსნაბრიუკი-მაინცი	1.70	1.90
13308	ბრესტი-ამიენი	1.90	1.70
13309	ლიბურნი-ანჟე	1.90	1.70
13310	ტრუა-ბულონი	1.90	1.70
13311	ბასტია-შატორუ	1.90	1.70
13312	დიჟონი-გენგამი	1.90	1.70
13313	ნანტი-მონპელიე	1.90	1.70
13314	გენიონი-ნიორი	1.90	1.70
13315	ლე ავრი-რეიმსი	1.90	1.70
13316	კლერმანი-სედანი	1.90	1.70
13317	გრენობლი-აიაჩო	1.90	1.70
13318	შარლეროა-სტანდარდი	1.80	1.80
13319	ბრიუგე-რუზელარე	2.00	1.60
13320	დენდერი-ვარეგემი	1.70	1.90
13321	გენკი-ბრიუსელი	1.90	1.70
13322	ლოკერენი-გენტი	1.70	1.90
13323	მეხელენი-ვესტერლო	1.80	1.80
13324	მუსკრონი-სერკლი	1.70	1.90
13325	მონსი-ბეერსხოტი	1.80	1.80
13326	ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი	2.00	1.60
13342	გიმარაეში-პორტუ	1.80	1.80
13343	ნახიონალი-აკადემიკა	1.90	1.70
13344	ნავალი-ბოავიშტა	1.90	1.70
13345	ბრაგა-ფერეირა	1.80	1.80
13346	სპორტინგი-მარიტიმუ	2.00	1.60
13347	ლეირია-ლეიშოეში	1.80	1.80
13348	სეტუბალი-ამადორა	1.80	1.80
13349	ბენფიკა-ბელენენსეში	1.90	1.70

ტროკოს ჰეკინის ფილიალი გადავიდა ახალ მისამართზე: გამსახურდიას 33ა

ცინცაძის ნბა-მბები

როკის სოლისტს ევროპაში რიგი დაუდგა

ამ სეზონში უცხოეთში მოთამაშე ქართველებს არ ულხინთ. ზოგს არასაკმარისად ათამაშებენ, ზოგსაც ტრავმები სტანჯავს. ყველაზე მეტს და, რაც მთავარია, შედეგიანად, ესტონური „ტარტუ როკის“ წევრი გიორგი ცინცაძე თამაშობს, რომელიც გუნდის ლიდერად ითვლება. „როკერებმა“ ამ სეზონში არსებობის მანძილზე საუკეთესო შედეგი აჩვენეს საერთაშორისო სარბიელზე: ევროთასის ოთხთა ფინალში გავიდნენ, თუმც ნახევარფინალში დამარცხდნენ და საბოლოოდ ვერც მესამე ადგილი ირგუნეს. ცინცაძეს გუშინ ტარტუში რომ შევეხმიანეთ, თავდაპირველად ოთხთა ფინალის ამბები გამოვკითხეთ



— ევროთასის ოთხთა ფინალში წარუმატებლობას რას აბრალებ?

— ძნელია, კონკრეტულად რამეს დავაბრალო წაგება. თამაშია და ხან გაგიმართლებს, ხან — არა. დასანანი კია, რადგან ფინალში გასვლა საკმაოდ რეალური იყო. ლატვიურ „ბარონსს“ პირველ ტაიმში 18 ქულას ვუგებდით და ასეთ თამაშს რომ წააგებ, გულსატკენია. აბა, რა.

— ასეთი სოლიდური უპირატესობის განიავება როგორ „მოახერხეთ“?

— მეორე ტაიმში დაცვაში თამაში აგვერია და ეს თავისთავად შეტევაზეც უარყოფითად აისახა. ლატვიელთა ამერიკელმა ცენტრმა დემეტრიოს ალექსანდერმა კი, რომ იტყვიან, თავი გაიგიჟა. მისგან ასეთ თამაშს არ ველოდით.

— ოთხთა ფინალში საკუთარ თამაშზე რას იტყვი?

— მე უფრო ნახევარფინალს გამოვარჩევდი, რადგან მესამე ადგილისთვის მატჩს აზრი თითქმის დაკარგული ჰქონდა. მასპინძლებს ვხვდებოდით, თანაც ბრინჯაოს მედალი დიდი ვერაფერი შეღავათი იქნებოდა. აი, „ბარონსთან“ მატჩის მეორე ტაიმში ცუდად ვითამაშე — ისევე, როგორც მთელმა ჩემმა გუნდმა. პირველ ტაიმში, როცა სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ, შეტევებს მე ვუკეთებდი ორგანიზებას და ეს საქმე კარგადაც გამომდიოდა.

— „ბარონსთან“ 16 ქულა დააგროვე, თუმცა თამაშიდან ბევრი სროლა აგიცდა...

— ისეთი ბურთები ავაცილე ფარქვეშიდან, სხვა მატჩებში 10-დან 9-ს რომ ვაგდებ. თავს არ ვიმართლებ, თუმც უნდა ვთქვა, რომ უცხო ბურთით ვთამაშობდით. ჩვენი გუნდი ბალტიის ლიგასა და ესტონეთის ჩემპიონატში „მოლტენის“, ოღონდ სხვა ნაირსახეობის ბურთით თამაშობს. სხვაობა კი მცირეა, მაგრამ ჩემს სროლებზე გავლენა მაინც იქონია. ამასთან, დარბაზს ვიყავით შეუჩვეველნი და ალბათ ამის ბრალიც იყო, საკმარისზე მეტი ბურთი რომ ავაცილე.

— წაგება როგორ აღიქვეს გუნდის ხელმძღვანელებმა და გულშემატკივრებმა?

— არაერთგვაროვნად. ზოგმა ძლიერ განიცადა, ზოგმა კი — ნაკლებად. ზოგადად, ოთხთა ფინალში გასვლა „როკისთვის“ წარმატება იყო, რადგან ეს გუნდი აქამდე არასდროს ასულა ამხელა სიმაღლეზე, თუმც მადა ჭამაში მოდისო და ჩვენც მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდით.

— ბალტიის ლიგა და ევროთასი დასრულებულია და ახლა მთლიანად ესტონეთის ჩემპიონატზე იქნებით გადართულნი. რა შანსები გაქვთ?

— პირველობის გარდა ყველა შედეგი წარუმატებლობად ჩაითვლება, რადგან მოქმედი ჩემპიონები ვართ. ფინალამდე შეგვიძლია არხეინად ვიყოთ, რადგან სერიოზული არავინ გვხვდება. ესტონეთის ჩემპიონატი რეალურად ორი გუნდის შერკინებაა — ჩვენი და „კალევის“.

— რომელსაც რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში გადაასწარით და პირველზე გახვედით...

— ეს ნამდვილად საჭირო გამარჯვება იყო, რადგან მოედნის უპირატესობა მოვიპოვეთ, თუმცა ამას შარშანდელივით გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ექნება, რადგან ახლახან „როკმა“ დარბაზი გამოიცვალა და ჩვენც ისეთივე შეუჩვეველნი ვიქნებით ახალ გარემოს, როგორც „კალევი“.

— სეზონთან ერთად „როკთან“ შენი კონტრაქტიც სრულდება. რას აპირებ, შემოთავაზებები ხომ არ გაქვს?

— ძალიან ბევრი და საბოლოოდ იმას ავირჩევ, რომელიც ჩემი მომავლისთვის იქნება კარგი. მთავარი სათამაშო დროა და არა გუნდის სახელწოდება. ყველა, ვისაც ჩემი შემატება უნდა, „როკზე“ ძლიერია, მაგრამ ევროპის ელიტას არ განეკუთვნებიან. აქაც ძალიან სურთ, რომ დავრჩე, მაგრამ ჯერ მართლა ვერაფერს ვიტყვი.

— ეს საკითხი საბოლოოდ როდის გაირკვევა?

— ზაფხულში. ივნისის დასაწყისში ტრევიზოს ტრადიციულ კემპზე მივდივარ და იქ უფრო მეტი სპეციალისტი მნახავს. უფრო სწორად, იქ იქნება ევროპის ყველა სერიოზული გუნდის წარმომადგენელი და თავისთავად დაინტერესებაც გაიზრდება.

— ტრევიზოში იქნებიან ნბა-ს სკაუტებიც. 22 წლის ხარ და ნბა-ს დრაფტისთვის ესაა შენი ბოლო შანსი...

— სურვილი მაქვს, რომ დრაფტზე დავდგე, მაგრამ არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა. 27 მაისს ვაპირებდი ორლანდოში, ნბა-ს კემპზე წასვლას, მაგრამ ესტონეთის ჩემპიონატის ფინალები მიწევს ამ დროს და ვერ ვახერხებ. არ ვიცი, ეგებ ტრევიზოში მნახოს ნბა-ს რომელიმე გუნდის წარმომადგენელმა, რათა დრაფტზე დადგომას აზრი ჰქონდეს. კი დავრეგისტრირდები, მაგრამ თუკი წინასწარ არ ხარ ვინმესთან გარიგებული და არ გიცნობენ, ყველაფერს აზრი ეკარგება.

— საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს და ამაზე რას იტყვი?

— იგორ კოკოშკოვის სახელი პირველად გავიგე და რა უნდა ვთქვა. ვნახოთ, რას იზამს, მოახერხებს თუ არა A დივიზიონში ამსვლელი გუნდის შეკვრას.

— კონტრაქტი რომ გიმთავრდება, ეს ხელს ხომ არ შეგიშლის ნაკრებში დროულად ჩამოსვლაში?

— არა, პრობლემა არ იქნება, თუმც ჯერ ნაკრებში უნდა გამოიძახონ. შემოთავაზებები ბევრი კლუბისგან მაქვს და კონტრაქტის საკითხს დროულად მოვაგვარებ.

ირაკლი პერტაია

NBA პლეი ოფი. პირველი წრე

ქუდზე კაცი!

23 აპრილი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 96:77 ატლანტა

სერიას იგებს ბოსტონი 2:0

ბოსტონი: რონდო (12), რ. ალენი (15), პირსი (14), გარნეტი (19 ქულა, 10 მოხსნა), პერკინსი (8); კასელი (10), პოუზი (9), დევისი (4), პოუი (3), ბრაუნი (2), ტ. ალენი, ჰაუსი

ატლანტა: ბიბი (12), ჯონსონი (11), უილიამსი (13), სმიტი (13), პორფორდი (9); ლოუ (12), ჩილდრესი (4), ფაჩულია (18 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა), ჯონსი, ვესტი

„ბოსტონზე“ გაქაჩულმა ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ მეორე ცდაზეც მარცხი განიცადა და სტუმრად უიმედოდ გარჯილს ახლა შინაური გარემოს იმედიღა თუ უამებს სულიერ ჭრილობას, იქნებ ატლანტაში ერთი მოგება მაინც ავართვათ მაგ გუნდს და პლეი ოფში 9-წლიანი ლოდინის შემდეგ დაბრუნებული მთლად გატრიზავებულები არ გამოვცვივდეთ იქიდანო. ძლეულთა გამთამაშებელმა მაიკ ბიბიმ ყოველი ატლანტელი ქუდზე კაცად იხმო შინაურ თამაშებში, მაგ მონსტრებს თქვენი დახმარებით თუ მოვუხერხებთ რამესო, ისე კი მგონი თავადაც არ შერჩა რაიმეს იმედი, ისე გავერანდა მისი გუნდი ჩრდილოეთში.

თავად ბიბის — რომელიც ვარსკვლავურ გამთამაშებლად ითვლება და ატლანტელებმა იმ იმედით წაჰგვარეს „საკრამენტოს“, რომ მაგას საპლეიოფო გამოცდილება აქვს და გუნდს სითამამეს შესძენსო — სისხლი გაუშრა ნბა-ში სულ მეორეწლიანმა მოთამაშემ და პლეი ოფის დებიუტანტმა რაჯონ რონდომ, ვინაც მასზე მეტი პასიც გააკეთა, ჩაჭრაც, მოხსნაც და დაცვაში ხომ გაუვალ კედელად აესვეტა „ატლანტას“ შეტევათა ორგანიზატორს.

მაგრამ არა მხოლოდ ბიბი შეეჯახა ბოსტონურ რკინა-ბეტონს. ჩაფლავდა ყველა, ვისაც „ატლანტას“ ქულებით მომარაგება ევალებოდა. სტუმართა ოლსტარელმა ლიდერმა ჯო ჯონსონმა — ვინაც პირველ თამაშში 22 სროლიდან 15 კი ააცილა, მაგრამ 19 ქულას მაინც მოუყარა თავი — ახლა ესეც ვეღარ შეძლო და 12 ქულას დასჯერდა. ორი დღის წინ თავვამოჩენილმა ალ ჰორფორდმა კი ახლა ათიც ვეღარ შეაკოწიწა — რომ შეატყეს, ეს ბიჭი კარგად თამაშობსო, გარნეტი და პერკინსი ხელებზე დაასხდნენ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, მთლად უშანსოდ იყო ეს ჩვენი „ატლანტა“ და მათ შორის ჩვენებური ზაზა ფაჩულიაც, ვინაც კარგად კი ჩაერთო თამაშში, მაგრამ ცუდად გააგრძელა. „ბოსტონის“ ერთ-ერთი ლიდერი რეი ალენი ტრაბახით კი არა საკუთარი გუნდის უპირატესობის დარბაისლური შეგრძნებით იძახდა, გაშიფრულები გვყავდნენ, ზუსტად ვიცოდით, როგორ და სად შემოგვიტევდნენ და ჩვენც ზუსტად ისე და იქ დავხვდითო.

სერია კი შაბათს ატლანტაში გაგრძელდება, სადაც „ატლანტას“ საშუალება ექნება 20-25 ქულიან წაგებას მაინც აარიდოს თავი.

დეტროიტი 105:88 ფილადელფია

სერიაში ანგარიშია 1:1

დეტროიტი: ჰამილტონი (20), მაკდაიესი (16 ქულა, 12 მოხსნა), პრინსი (16), ვოლესი (16), სტაკი (12)

ფილადელფია: უილიამსი (17), მილერი (14), ევანსი (13 ქულა, 10 მოხსნა), კერნი (11), იანგი (11)

„დეტროიტი“ ის ჩიტი არაა, საკუთარ შეცდომებზე ვერ ესწავლა და „ფილადელფიისთვის“ ზედიზედ მეორე გამარჯვება ეჩუქა. ღლაბუცს გადაჰყვა, პირველი მატჩისთვის შესაბამისად ვერ განეწყო და წააგო. რა მოხდა მერე? ამით სამყარო თავზე არ დანგრევია, სერიოზულობას მოუხმო და გაფუჭებული გამოასწორა, 15 ქულით დასაჯა თავხედი „ფილადელფია“. ასეთები უნახავს?

კარგი ბიჭია ანდრე იგუდალა, წინა მატჩში ლამის სამმაგი დუბლი გააკეთა, მაგრამ კიდევ უფრო კარგები არიან დეტროიტელები და „ფილადელფიის“ ლიდერს ახლა 4 ქულა, 4 პასი და 1 მოხსნა აკმარეს. თავადაც ხედავთ, სხვაობა თვალსაჩინოა. არც სხვები გააპარპაშეს, თავად კი პირველი მეოთხედი 25:18 რომ მოიგეს, მეორეში 28:18 დაჯაბნეს მეტოქე, 17-ქულიან უპირატესობას მესამეში კიდევ 5 წაუმატეს და მეტოქეზე სრულად ჯავრნაყარები მერეღა დაშოშმინდნენ. ისინი ბოლო ხუთი წელია, სულ ცოტა აღმოსავლეთის ფინალამდე მიდიან და ახლა „ფილადელფიით“ დაწყებელი და ამ სერიის შორიდან შემხედვარეებით დამთავრებული ყველას აგრძნობინეს, რომ არც წლეულს გეგმავენ გაქანებული ცხენიდან ჩამოხტომას.

დასავლეთი

ლეიკერსი 122:107 დენვერი

სერიას იგებს ლეიკერსი 2:0

ლეიკერსი: ბრაიანტი (49 ქულა, 10 პასი), გასოლი (18 ქულა, 10 მოხსნა), უოლტონი (18), ფიშერი (10)

დენვერი: აივერსონი (31), ენტონი (23), სმიტი (21), მარტინი (10), კლეიზა (10), კემბი (6 ქულა, 17 მოხსნა, 4 დაფარება)

სერიის საღებიუტო შეხვედრაში უიმედოდ ძლეულმა „დენვერმა“ ძალები გადააწყო და ახალი შემართებით შეუტია „ლეიკერსს“, თითქოს რაღაც გამოუვიდა კიდეც — პირველი სამი მეოთხედი მხოლოდ 10 ქულით დათმო, გადამწყვეტ პერიოდში თავზე ხელაღებული ბრძოლით შეიჭრა და სხვაობა თითქმის წაშალა, მაგრამ „ლეიკერსს“ რა მისჭირდა, იქ გამოადგა კობი ბრაიანტი.

წინა შეხვედრის შემდეგ ბრაიანტს ბევრად ნაკლები ქება ერგო, ვიდრე მისი (სწორედ რომ მისი) გუნდის ახალ ვარსკვლავ პაუ გასოლს, ასე რომ, ახლა ბრაიანტმა სრულად დახარჯვა ინება და „დენვერს“ ისეთი დღე აწია, მტერს და ავს. ბრაიანტმა ბოლო მეოთხედის ოთხნახევარწუთიან მონაკვეთში 13 ქულა დაატეხა დაატეხა სტუმრებს და იქავ გაარკვია ამ ორთა შორის მჯობნის ვინაობა. ისეთ ხასიათზე იყო, მაგას დღეს ათი კაცი ვერ გააჩერებდაო — აღიარებდა ნამატჩევს ბრაიანტისგან ძლეულთაგან საუკეთესო ალენ აივერსონი.

საბოლოოდ კობიმ 49 ქულა და 10 პასი მოიხვეჭა და თითო ქულა-პასი დააკლდა ამ მაჩვენებლებში პირად საპლეიოფო რეკორდებამდე.

ივანე კოტიაშვილი

ბრაზილიელთა ქართული ფიქრი: ჯერ ოქრო და მერე შვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გეორ-გიამ ახალი პირადობის მოწმობები და ემზარ ზენაიშვილისგან სამკერდე ნიშნები მიიღეს

** პლაჟის ფრენბურთში, ჩვენს წყვილს რენატოს და ჟორჟის, იგივე გეორ-გიას გუშინ მეორე „ქართული“ დღე ჰქონდათ. ქართულპასპორტიანი ბრაზილიელები უკვე ორი წელია, რაც საქართველოს სახელით თამაშობენ და პეკინის ოლიმპიადის საგზური პრაქტიკულად განაღდებული აქვთ, რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, გეორ-გიამ პეკინში რომ ვერ ითამაშონ. ვთქვით, რომ გეორ-გია ორი წელია, რაც საქართველოს სახელით თამაშობენ, აქ კი პირველად გუშინწინ ჩამოვიდნენ სატელიტურ ტურზე სათამაშოდ, რომელსაც თბილისის მერიის თასი ჰქვია. გუშინ გეორ-გიამ ძირითად ბადეში სამი მატჩი მოიგეს და დღეს ნახევარფინალი ელით. თბილისის მერიის თასი ქსნის ქუჩაზე სასტუმრო-რესტორან „ოდას“ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ნახევარფინალი დღეს 11 საათზე დაიწყება, ფინალი კი საღამოს, 17 საათზეა. ფრენბურთობის შემდეგ რენატომ და ჟორჟიმ საჯარო რეესტრში შეიარეს და ახალი პირადობის მოწმობები აიღეს. მერე გეორ-გია საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა ისტუმრა, დეპარტამენტიდან კი ოლიმპიურ კომიტეტში გადაინაცვლეს, სადაც გეორ-გიას ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი ოჯახში დაწურული ღვინით გაუმასპინძლდა და ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის სამკერდე ნიშნებიც აჩუქა. გეორ-გიას ჩვენც სახელდახელოდ გავესაუბრეთ**



რენატო და ჟორჟი „ავთანდილში“





— გუშინწინ გვიან ღამით ჩამოფრინდით, დღეს კი ასე თუ ისე დაათვალიერეთ ქალაქი. მოგწონთ აქაურობა?

გია: ძალიან, განსაკუთრებით თბილისის არქიტექტურით აღფრთოვანდი, იშვიათი სილამაზის ქანდაკებები ვნახე.

გეორი: თბილისს ერთი ნახვით ეტყობა, რომ ისტორიული ქალაქია. მთელი მსოფლიო შემოვლილი მაქვს, მაგრამ ასეთი ისტორიული ძეგლები არსად მინახავს. განსაკუთრებით ეკლესიების და ტაძრების სიმრავლემ გამახარა.

— როგორც ვიცით, მორწმუნე ხართ?

გეორი: მე კათოლიკე ვარ და რელიგიურად ვცხოვრობ. დღეს ვერ მოვახერხე ეკლესიაში შესვლა და სანთლის დანთება, ხვალ კი აუცილებლად შევალ აქაურ კათოლიკურ ეკლესიაში.

გია: მე ნახევრად კათოლიკე, ნახევრად პროტესტანტი ვარ. ჩემი მეუღლე პროტესტანტია და არც მასთან, არც რენატოსთან ამის გამო პრობლემა არა მაქვს. გლაზგოს „რეინჯერსივით“ და „სელტიკივით“ კი არ ვართ, პირიქით, საუკეთესო მეგობრები გახლავართ.

— მეუღლე ახსენე და როგორ ეგუება თქვენს ხანგრძლივ მოგზაურობას?

გია: ჩემი მეუღლე მოდელია, მან იცის, რომ სპორტსმენის ცხოვრება რთულია. თვეში ორ კვირას თუ ვატარებ სახლში, დარჩენილი დრო ტურიდან ტურზე სიარულს ვუნდები. მეუღლე ამას შეგუებულია და ყველანაირად მიწყობს ხელს. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ კი ყოველდღე შვილის გაჩენაზე ვიფიქრებთ. ახლა, ამისთვის არ მცალია.

გეორი: მე მეგობარი გოგონა მყავს და პრინციპში ცოლ-ქმრობამდე არც არაფერი გვაკლია. ოლიმპიადის შემდეგ ამასაც მოვაბამ თავს.

— გუშინ გვითხარით, რომ ოლიმპიადიდან უმეტლოდ არ დაბრუნდებით. ამისი ალალად გჯერათ?

გია: მეტიც, სულაც ჩემპიონობაზე ვფიქრობთ, რაც სავსებით რეალურია. ახლა გამოკვეთილი ფავორიტი ბრაზილიური წყვილი რიკარდო და ემანუელი არიან. მათ ათენის ოლიმპიადაც მოიგეს და რამდენჯერმე მსოფლიოს ჩემპიონობიც გახდნენ. ბრაზილიაში ჩვენ მათთან ერთად ვვარჯიშობთ. მწვრთნელიც საერთო გვყავდა და მათი პლიუს-მინუსებიც ვიცით. მსოფლიო ტურებზე ორჯერ უკვე მოვუგეთ მათ, მართალია, ხშირად ისინი გვჯობნიან, მაგრამ დაუმარცხებლები არ არიან. ამაში რენატოც დამეთანხმება.

გეორი: თითქმის ყველა კონკურენტისთვის მოგებული გვაქვს და ოლიმპიადაზეც იგივეს ვაპირებთ. საერთოდ, მსოფლიო ტურები და ერთი კონკრეტული ტურნირი, როგორიც ოლიმპიადაა, სპეციფიკით განსხვავდებიან. ჩვენ ისე გვაქვს გაწერილი მოსამზადებელი ეტაპი, რომ ფორმის პიკზე სწორედ ოლიმპიადისთვის უნდა ვიყოთ.

— ოთხ დღეში პეკინის მსოფლიოს თასზე ითამაშებთ...

გია: ოლიმპიადის ლიცენზია პრაქტიკულად განაღდებული გვაქვს, მაგრამ პეკინის მსოფლიო თასს სერიოზულად მივუდგებით, ვეცდებით, საპრიზო ადგილები დავიკავოთ.

გეორი: თანაც ეს ძალიან კარგი საშუალებაა, იქაურობას გავუშინაურდეთ და აკლიმატიზაციის პრობლემა წინასწარ მოვაგვაროთ.

გეორ-გიამ აქ მოგვიბოდიშეს, გვეჩქარებაო და „ავთანდილს“ მიაშურეს, სადაც ოლიმპიური კომიტეტის დაკვეთით მათთვის საოლიმპიადო სამოსი უნდა შეკერონ.

გაჩო სვანიძე

ბადრი კეთილაძის *ფოტოები*

ანტინარკოტიკული აქცია ავჭალის კოლონიაში



მეორეკლასელების ფოტოები

23 აპრილს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ფედერაციის ინიციატივით, ანტინარკოტიკული აქცია — „იცხოვრე ჯანსაღად“ ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში მოეწყო.

ავჭალის კოლონიას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, მისი მოადგილეები გია გალდავა და დავით გობეჯიშვილი, მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ფედერაციის წარმომადგენლები, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა, ვეტერანი ფეხბურთელი გრიგოლ ცაავა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები — ლუკა კურტანიძე, ზაზა კედელაშვილი, შოუ ბიზნესის წარმომადგენლები და ჟურნალისტები ეწვივნენ.

არასრულწლოვნებს სტუმრებმა სააღდგომო საჩუქრებთან ერთად, სპორტული ინვენტარი — ტრენაჟორი, ჩოგბურთის მაგიდა, კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები და მაისურები გადასცეს. შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ამხანაგური საფეხბურთო მატჩი გამართეს. შეხვედრა ფრედ დასრულდა და თერთმეტმეტრიანების სერია დაინიშნა, თუმც კარგახანს გამარჯვებული ვერც პენალტებში გამოვლინდა და საბოლოოდ მხარეები ფრეზე შეთანხმდნენ.

ზურაბ მიგრიაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეაცები

მასტერსის სერია

მონტე კარლო. მონაკო. თიხა საპრიზო 2 370 000 ევრო

მეორე წრე

ტომი რობრედო (12, ესპანეთი) — **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) 6:4 7:6

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) 6:3 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — **ხუან კარლოს ფერერო** (13, ესპანეთი) 6:4 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — **ენდი მიურეი** (14, ბრიტანეთი) 6:0 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — **ფილიპ კოლშრაიბერი** (16, გერმანია) 3:6 7:5 6:2; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — **იანკო ტიპსარევიჩი** (1, სერბეთი) 6:4 6:0; **დავიდ ნალბანდიანი** (6, არგენტინა) — **რობრედო** 6:1 6:0; **სემ ძუერეი** (აშშ) — **რიშარ გასკე** (7, საფრანგეთი) 2:6 6:4 6:3 ; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) 7:5 4:6 6:4

მეოთხე შაფათავას მეხუთე მრგო



ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკიდან

უზბეკეთში, ნამანგანის მაგარსაფარზე გრძელდება ქალთა 25-ათასიანი ტურნირი, რომელიც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება.

ნამანგანში მე-4 ნომრად სოფო შაფათავაა განთესილი და ჩვენებურმა უკვე მეოთხედფინალს უწია, მეორე წრეში 7:5 6:4 დაამარცხა რა კვალიფიკაციიდან წამოსული 16 წლის უკრაინელი ანასტასია ვასილევა, ვისაც WTA-ს რეიტინგში 748-ე პოზიცია უკავია.

მეოთხედფინალში სოფოს მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი ჰოლანდიელი ჩეინი ევიაკი იქნება. 19 წლისა და კლასიფიკაციის 370-ე საფეხურზე მყოფმა ევიაკმა მანამდე უკრაინელი კატერინა პოლუნინა (6:2 6:4) და რუსი მარია ჟარკოვა (6:2 6:2) დაამარცხა.

ფანცულაია ცხრაკაცაში

ევროპის ჩემპიონატი. 20 აპრილი - 4 მაისი. პლოვდივი. ბულგარეთი

საქართველოს ჩემპიონი ლევან ფანცულაია კვლავაც ლიდერთა შორისაა. ჩვენებურმა შავი ფიგურებით აზებაიჯანელი ნიჯატ მამედოვი დაამარცხა და იმ ცხრა მოჭადრაკეს შორისაა, უდანაკარგოდ რომ ლიდერობს ჩემპიონატს.

პარტია აზერბაიჯანელის შეტევებით დაიწყო, თუმც ლევანმა შეძლო მისი მოგერიება და საპასუხოდ ლაზიერის მხრიდან დაარტყა. ფანცულაიამ გაცვლებს მიმართა, 58-ე სვლაზე კი f ხაზზე მოძრავი პაიკი ლაზიერად აქცია და 8 სვლაში ქულაც აიღო.

დანარჩენი ქართველები კი ქვემოთ არიან და ლიდერებს ჩამორჩებიან. ფანცულაიასთან ყველაზე ახლოს კი, მიხეილ მჭედლიშვილი, კონსტანტინე შანავა და თორნიკე სანიკიძე არიან. მათ ორ-ორი ქულა აქვთ და შესაბამისად, 82-ე, 120-ე და 131-ე ადგილებს ინაწილებენ.

სამწუხაროდ, ლიდერები დავკარგეთ ქალებში. საქართველოს ჩემპიონმა ნანა ძაგნიძემ და სალომე მელიამ მესამე ტურში ყაიმებით დაასრულეს შეხვედრები და 2,5-2,5 ქულით მოწინავე პოზიციები დათმეს. ძაგნიძემ თეთრებით რუს ტატიანა სტეპოვაიას გაუყო ქულა, მელიამ კი — უკრაინელ ანა უშენინას. 2,5 ქულა კიდევ ოთხ ჩვენს თანამემამულეს აქვს: სოფიო გვეტაძეს, ნინო ბაციაშვილს, სოფიკო ხუხაშვილს და მაია ლომინეიშვილს.

ლუბა გეგეჭკორი

ფიდეს გრან-პრი

ბაქო. აზერბაიჯანი. 20 აპრილი-6 მაისი

III ტური

შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	გატა კამსკი (აშშ)
მაგნუს კასრლსენი (ნორვეგია)	1:0	ერნესტო ინარკიევი (რუსეთი)
ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი)	1:0	პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)
თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	ვან იუე (ჩინეთი)
ივან ხეპარინოვი (ბულგარეთი)	0:1	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)
სერგეი კარიაკინი (უკრაინა)	1:0	მაიკლ ადამსი (ინგლისი)
დავიდ ნავარა (ჩეხეთი)	0:1	ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)

1. ალექსანდრ გრიშჩუკი	2,5
2. სერგეი კარიაკინი	2
3. თეიმურ რაჯაბოვი	2
4. ვუგარ გაშიმოვი	2
5. მაგნუს კარლსენი	2
6. გატა კამსკი	2
7. ვან იუე	1,5
8. მაიკლ ადამსი	1,5
9. ეტიენ ბაკრო	1,5
10. დავიდ ნავარა	1
11. შაჰრიარ მამედიაროვი	1
12. პიოტრ სვიდლერი	1
13. ერნესტო ინარკიევი	1
14. ივან ჩეპარინოვი	0

გრიშჩუკმა 2 ათასი გადაარჩინა

მესამე ტურში ალექსანდრ გრიშჩუკმა დავიდ ნავარა შავი ფიგურებით დაამარცხა და ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა, მანამდე კი პატარა პრობლემის მოგვარება მოუწია.

წინა ტურში მან 17 წლის სერგეი კარიაკინს მე-19 სვლაზე დაუსრულა პარტია და ამის გამო ახსნა-განმარტების ჩაბარებაც მოუხდა. საქმე იმაშია, რომ ტურნირზე წესები გამკაცრებულია და ძირითადად ყაიმებით დასრულებულ პარტიებს ამოწმებენ. ამ შეხვედრაშიც რამდენიმე უზუსტობა აღმოაჩინეს და რუსის დასჯასაც აპირებდნენ, თუმც შემდეგ დაინდეს და ჯარიმაც აღარ გადაახდევინეს. ჯარიმა კი ზურაბ აზმაიფარაშვილის გადაწყვეტილებით 2 ათასი ევროა.

ნავარამ და გრიშჩუკმა სლავური დაცვა გაითამაშეს. ჩეხმა ცენტრში პაიკები წამოწია, მე-8 სვლაზე როქი გააკეთა და მარჯვნიდან მხედრით შეუტია. გრიშჩუკმა დიაგონალზე განალაგა პაიკები, ჩეხს ცენტრი წაართვა და უპირატესობას დაეუფლა. რუსმა გაცვლებს მიმართა, მეტოქეს ორი პაიკი აართვა და 86-ე სვლაზე იმარჯვა.

ლუბა გეგეჭკორი

კლასიკური ძარცვა ქართველებმა სოფიიდან ოქროები წამოიღეს

17-20 აპრილს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკებს შორის. საქართველოს ნაკრებმა სოფიაში მშვენიერი შედეგი აჩვენა, 5 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩემპიონები გახდნენ: გოგიტა გოგიბერაშვილი (46 კგ), გიორგი დავითაია (50 კგ), ქემალ ხარაბაძე (54 კგ), საჩინო დავითაია (58 კგ) და სერგო გოგისვანიძე (100 კგ); ბრინჯაოს პრიზიორები არიან: როინ ძირკვაძე (42 კგ), უშანგი ჩიტიაშვილი (69 კგ) და რევაზ ნადარეიშვილი (85 კგ).

ტურნირში სულ 14 ქვეყანა მონაწილეობდა და საუკეთესო მონაგარი ქართველებს ჰქონდათ. თავად მასპინძელ ბულგარელთაგან, რომლებიც 62 ფალავნით გამოდიოდნენ, მხოლოდ ორმა მოიპოვა ჩემპიონობა.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ნაკრების მწვრთნელები ვაჟა კრავეიშვილი, ზაზა სილაგაძე და ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი ესაუბრნენ.

ვაჟა კრავეიშვილი: ბულგარეთში წამსვლელი ბიჭები საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით შეირჩნენ. ასევე მოეწყო ერთობლივი საწვრთნელი შეკრება, რაც მანამდე არ ყოფილა და ეს ძალიან წაგვადგა. ნაკრების გამოსვლას დადებითად შევაფასებ. ბევრი პირველად ჭიდაობდა საერთაშორისო ტურნირზე და თავი არ შეურცხვენია. კარგია, რომ რეგიონებიდან გამოჩნდნენ პერსპექტიული ბიჭები. სენაკში ცოტა გვიჭირდა ამ თვალსაზრისით და აგერ, დავითაიებმა გვასახელეს. ახლა თურქეთის საერთაშორისო ტურნირი გველის, მერე თემურ ყაზარაშვილის ტურნირი ჩატარდება რუსთავში და ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი მოჭიდავეებიც გირკვევა. ევროპის პირველობას ივნისის ბოლოს ლატვია უმასპინძლებს.

ზაზა სილაგაძე. ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, თუმცა იყო შეცდომებიც და ეს ხარვეზები ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში აუცილებლად უნდა აღმოვფხვრათ.

ლეონიდ მაისურაძე

ბარსელონაში წვიმას ელიან

დღეიდან კვირის ბოლომდე ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომი საპირველფორმულოდ ახმაურდება და წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის რიგით მეოთხე და ამავდროულად, პირველი ევროპული დიდი პრიზი გათამაშდება.

ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდი მოუთმენლად ელის ესპანურ რბოლას და ასეთ დროს სინოპტიკოსებმა მრბოლთათვის საკმაოდ არასახარბიელო პროგნოზები გამოაქვეყნეს და უქმეებისთვის წვიმა ივარაუდეს.

თუ სინოპტიკოსთა პროგნოზები გამართლდება, მაშინ წლეულს პირველ წვიმიან რბოლას ვიხილავთ. პროგნოზები კი ასეთია, რომ შაბათს, ანუ კვალიფიკაციისას და კვირასაც, უშუალოდ რბოლის დროს, კატალონიის მთავარქალაქის თავზე ღრუბლები შეიყრება და გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა წამოვა.

პარასკევს, თავისუფალი პრაქტიკისას, წვიმა მოსალოდნელი არ არის და ჰაერის ტემპერატურა კი დაახლოებით 20 გრადუსი იქნება.

აქვე შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში ბარსელონაშივე გამართული ტესტების მსვლელობა, სწორედ წვიმის გამო რამდენჯერმე დაირღვა.

კახა ლომაძე

რბოლების სამეფოში დედოფალზე ალაპარაკდნენ

ფორმულა 1-ის ისტორიამ ხუთი მრბოლი ქალი იცის — იტალიელები მარია ტერეზა დე ფილიპსი, მარია-გრაცია ლომბარდი, ჯოვანა ამატი, ინგლისელი დივინა გალიკა და სამხრეთ აფრიკელი დეზირე ჯილსონი. ამათგან უკანასკნელი, საპირველფორმულო ბოლიდის კოკპიტში, 1992 წელს ჯოვანა ამატი იჯდა და აი, თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ, არ არის გამორიცხული, რომ სამომავლოდ კვლავ გამოჩნდეს „სამეფო რბოლების“ ახალი დედოფალი.

დანიკა პატრიკი

კერძოდ, ლაპარაკია 26 წლის ამერიკელ დანიკა პატრიკზე, რომელმაც გასულ კვირას ნამდვილი ფურორი მოახდინა და „ანდრეტი-გრინ რეისინგის“ საჯინიბოს ბოლიდით იაპონიაში, მოტეგის ავტოდრომზე გამართული ჩრდილო-ამერიკული სარბოლო სერიის, „ინდიკარის“ ეტაპი მოიგო.

დანიკა პირველი ქალია, ვისაც „ინდკარის“ რბოლაში უმარჯვია და თანაც, ამ ამერიკელმა ქალბატონმა ამ გამარჯვებას ბრწყინვალე სტილში მიაღწია — ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე გაასწრო რბოლის ლიდერ გელიო კასტრონევესს.

ახლა კი პატრიკის ფორმულა 1-ში შესაძლო გამოჩენის შესახებ. „ანდრეტი-გრინ რეისინგის“ თანამფლობელი მაიკლ ანდრეტი გახლავთ, პირველი ფორმულის 1978 წლის ჩემპიონ მარიო ანდრეტის შვილი და თავადაც ძველისმეფორმულე, რომელიც 1993 „მაკლარენის“ სახელით დაქროდა. არის მესამე ანდრეტიც — მარკო — მაიკლის შვილი და მარიოს შვილიშვილი, ვისაც, აგრეთვე, უკვე ჰქონია შეხება „სამეფო რბოლებთან“ „ჰონდას“ ბოლიდის ტესტირების სახით.

აი, ასეთია ანდრეტების საპირველფორმულო ისტორიები და, როგორც ირკვევა, ამ ცოტა ხნის წინათ „ანდრეტი-გრინ რეისინგმა“ „ჰონდას“ ბრაზილიელ მრბოლს, პირველი ფორმულის ვეტერან რუბენს ბარიკელოს შესთავაზა, მომავალი წლისთვის ადგილი გაუცვალოს მარკო ანდრეტის.

ამაზე ლაპარაკი უკვე არის და, რადგანაც ასეა, დანიკა პატრიკის სენსაციური გამარჯვების შემდეგ უმალ გამოჩნდა ხალხი, როომელსაც მიაჩნია, რომ ბარიკელომ ადგილი, არა მესამე თაობის ანდრეტის, არამედ, სწორედ ქალბატონს უნდა გაუცვალოს.

ამასობაში, გერმანულმა „ბილდმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ დანიკა პატრიკით „რენო“ და პირადად ამ ფრანგული საჯინიბოს იტალიელი შეფი ფლავიო ბრიატორე დაინტერესდა — აქაოდა, ბრიატორე სერიოზულად ფიქრობს პატრიკთან კონტრაქტის გაფორმებას და ამ კონტრაქტის წყალობით, დანიკა ახლო გაიცნობს „სამეფო რბოლების“ სამყაროსო

კახა ლომაძე

კირხენის ვალონური ფლეში

ახლადშექმნილი ამერიკული გუნდის, „ჰაი როადის“ ლუქსემბურგელი მრბოლის კიმ კირხენის გამარჯვებით დასრულდა ჰოპულარული ბელგიური ერთდღიანი კლასიკა „ფლეშ ვალონი“.

29 წლის ველოსიპედისტმა შარლერუადან იუმდე გაჭიმული 199,5-კილომეტრიანი გზის ბოლოს, უკანასკნელ და საკმად მკვეთრ აღმართში შეუტია. კირხენის ამ იერიშს მხოლოდ ორმა გაუძლო — შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ ვიცე-ჩემპიონმა, ბელგიური „ლოტოს“ ავსტრალიელმა კედელ ევანსმა და იტალიური „ლამპრეს“ დამიანო კუნეგომ, რომელმაც ამას წინათ ჰოლანდიური ერთდღიანი კლასიკური რბოლა „ამსტელ გოლდი“ მოიგო.

ევანსი და კუნეგო კირხენს კი მიჰყვნენ, მაგრამ ლუქსემბურგელის ტემპს მაინც ჩამორჩნენ — კირხენმა თითქმის 200-კილომეტრიანი გზის გავლას 4 საათი, 35 წუთი და 29 წამი მოანდომა და ევანსსა და კუნეგოს, შესაბამისად, ერთი და ორი წამით აჯობა.

„2005 წელსაც აქ შევუტიე, მაგრამ მაშინ მხოლოდ მეორე ვიყავი, ახლა კი ყველას ვაჯობე და კარიერის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვე“ — ხარობდა ფინიშის შემდეგ ლუქსემბურგელი.

სწორედ კირხენის ბოლო შეტევამ და ბოლო აღმართმა დააღალატა შარშანდელი ტრიუმფატორი, იტალიელი დავიდე რებელინი, ხოლო გერმანელი ფაბიან ვეგმანი, რომელმაც შეტევა ფინიშამდე 12 კილომეტრით ადრე წამოიწყო და ბოლო აღმართამდე წინ იყო, სწორედ ამ უკანასკნელი მთის ძირას დაეცა და გაქცეულებს უიმედოდ ჩამორჩა.

აქვე გეტყვით, რომ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირისა (UCI) და დიდი რბოლების („ტური“, „ჯირო“, „ვუელტა“) ორგანიზატორთა შორის არსებული ცნობილი უთანხმოების გამო, წლევანდელი „ფლეშ ვალონი“ UCI-ს მიერ ორგანიზებული პრო ტურის სერიის კალენდარში არ იყო შეტანილი და შესაბამისად, ამ რბოლის შემდეგ არც პრო ტურის რეიტინგში მომხდარა რაიმე ცვლილება.

უილიამსი მრგვალდება

ადრეც ვთქვით, რომ წლევანდელი საპირველფორმულო სეზონი მრავალმხრივაა საიუბილეო „სამეფო რბოლების“ ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი გუნდის, ინგლისური „უილიამსისთვის“.

ქალაქ გროუვის ბინადრებმა მომავალ მრგვალ თარიღებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ წინასასეზონო ტესტებისას თავიანთი ბოლიდები რამდენჯერმე გადაღებეს და ყველა ახალი ფერი, თუ მანქანაზე გაკეთებული წარწერები, თავიანთი სახელოვანი ისტორიის სხვადასხვა ფურცელს მიუძღვნეს.

დავიწყოთ იმით, რომ სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოს არსებობა 1978 წლიდან იწყება, ანუ წლეულს 30 წელი შესრულდა, რაც „უილიამსები“ საპირველფორმულო გზებზე დაქრიან. მონტე კარლოში გასამართი „მონაკოს დიდი პრიზი“ წლეულს „ტოიოტას“ ძრავებით აღჭურვილი გუნდის ისტორიაში მე-600 რბოლა იქნება, ხოლო კიდევ ერთ მნიშვნელოვან მონაცემს სერ ფრენკის საჯინიბო, სავარაუდოდ, უკვე ამ კვირას, ბარსელონაში გასამართი „ესპანეთის დიდი პრიზისას“ დაამრგვალებს.

საქმე იმაშია, რომ თუ „კატალუნია მონტმელოს“ ტრასაზე „უილიამსის“ პილოტები, გერმანელი ნიკო როსბერგი და იაპონელი კაძუკი ნაკაჯიმა, მინიმუმ 26-26 წრის გავლას შეძლებენ, ანუ ჯამში 52 წრეს გაივლიან, გამოვა, რომ ამ 30 წლის მანძილზე „უილიამსის“ ბოლიდებს ჯამური 50 000 სარბოლო წრე ექნებათ გავლილი. და ეს ფორმულა 1-ის ისტორიაში მეოთხე შემთხვევა იქნება.

„უილიამსზე“ მეტი წრეები საპირველფორმულო გზებზე „ფერარის“ (თითქმის 87 000), „მაკლარენს“ (65 000) და ისტორიის კუთვნილებად ქცეულ „ლოტუსს“ (56 000) აქვთ დაგროვილი, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ „უილიამსი“ „ფერარისა“ და „მაკლარენზე“ გაცილებით ახალგაზრდა გუნდია და საშუალოდ, ერთ სეზონში გაკეთებული წრეების ოდენობით ამ გიგანტებს სჯობს კიდეც.

კახა ლომაძე


სერ ფრენკ უილიამსი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეველაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge